საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გამოიწერეთ, იკითხეთ

საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან № 18 (2131) ოთხშაბათი, 31 იანვარი, 1996 წელი. ფასი 30 თეთრი

საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება № 132

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის 1995 წლის 20 ოქტომბრის № 432 ბრძანებულებაში დამატების შეტანის შესახებ

საზღვარგარეთის რიგ ქვეყნებში საქართველოს საელჩოების განებსათვის, აგრეთვე ნაცვალგების პრინციპის ამოქმედების ით:

ქართველოს სახელმწიფოს მეთაურის 1995 წლის 20 ოქტომბ-
№ 432 ბრძანებულების მე-5 პუნქტს დაემატოს:
ქართველოში გერმანიისა და ამერიკის შეერთებული შტა-
ს საელჩოთა შენობების საიჯარო თანხები გამონაკლისის წე-
რიცხოს შესაბამის ქვეყნებში საქართველოს საელჩოთა ან-
ებზე ამჟამად მოქმედი წესის მიხედვით".

ე. შევარდნაძე

საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება № 62

1996 წლის 30 იანვარი ქ. თბილისი

გ. კაჭკაჭიშვილის ადიგენის რაიონის გამგეობის თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ

დაინიშნოს გელოვან კაჭკაჭიშვილი ადიგენის რაიონის გამგეობის თავმჯდომარედ.

ე. შევარდნაძე.

პარლამენტი

გაიმართა ბიუროს სხდომა

იანვარს გაიმართა საქართველოს პარლამენტის ბიურო-
ა. განიხილეს პარლამენტის პლენარული სხდომის დღის წეს-
ან დაკავშირებული საკითხები.
ქართველოს პარლამენტის რიგგარეშე სესიის მორიგი პლე-
ული სხდომა მუშაობას დაიწყებს 31 იანვარს, 10 საათზე.
მენტარები განიხილავენ კანონპროექტს „საქართველოს
ნსტიტუციო სასამართლოს შესახებ".
უროს დღის წესრიგის მეორე საკითხთან დაკავშირებით „სა-
ველოს 1996 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის განხილვის შე-
გების შესახებ". პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომი-
ტი გააგრძელებს მოსმენებს და საბოლოო დასკვნას გამოიტანს
ას, 4 თებერვალს.

ყურადღება!

1, 2, 3 თებერვალს პარლამენტის ყოფილ შენობაში (იმელი) სხდომათა დარბაზში 11 საათზე, საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტი აწყობს საქართველოს 1996 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონპროექტის საკომიტეტო მოსმენას.

მოწვეულები არიან პარლამენტის კომიტეტები, საპარლამენტო ფრაქციები, ცალკეული დეპუტატები, მთავრობის, სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელები.

2 თებერვალს მოსმენაზე მოწვეულია სამხარეო და ადგილობრივი ორგანოების ხელმძღვანელები.

საქართველოს პარლამენტის პრესსამსახური.

თათბირი

ეყრება საფუძველი ქვეყნის ეკონომიკურ აღორძინებას

1995 წელს საქართველოს ეკონომიკის ფუნქციონირების შედეგები და მიმდინარე წლის ამოცანები განიხილეს 28 იანვარს გამართულ რესპუბლიკის მთავრობის გაფართოებულ სხდომაზე, რომელიც მიმდინარეობდა ქვეყნის პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის თავმჯდომარეობით. სხდომაში მონაწილეობდნენ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ზურაბ ჟვანია, რეგიონულ და ადგილობრივ ადმინისტრაციათა მეთაურები, დეპარტამენტებისა და უწყებათა, დიდი სამრეწველო საწარმოებისა და გაერთიანებათა, ფირმებისა და ბანკების ხელმძღვანელები, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეები, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა წარმომადგენლები.

როგორც ეკონომიკის მინისტრის ვლადიმერ პაპავას მიერ გაკეთებული მოხსენებიდან გახდა ნათელი, გასული წლის მთავარი შედეგია წარმოების დაცემის ტემპის არსებითი შენელება, მთელი რიგი დარგობრივი მაჩვენებლების მიხედვით კი მისი მოცულობის გარკვეული ზრდაც არის დაფიქსირებული, რაც, თავისთავად, მოწმობს ეკონომიკური სტაბილიზაციის დაწყებას. ქვეყანაში რეფორმების მიმდინარეობისა და მაკროეკონომიკური ვითარების გაანალიზებისას, მინისტრმა დაასკვნა, რომ მნიშვნელოვნად გაფართოვდა ეკონომიკურ რეფორმათა დიაპაზონი, მათი შინაარსი კი გახდა უფრო ღრმა და სრული. ეს განსაკუთრებით ნათლად ვლინდება საფინანსო-საკრედიტო პოლიტიკაში, ფულად მიმოქცევაში, საკანონმდებლო ბაზის შექმნაში, სახელმწიფო ქონების პრივატიზაციასა და სხვა სფეროებში. ამასთან, აღინიშნა, რომ პრივატიზაცია გახდა ახალი ეკონომიკური ვითარების ძირითადი განმსაზღვრელი ფაქტორი და სწორედ მას ეფუძნება ყველა ღონისძიება საბაზრო ეკონომიკის მშენებლობის დანარჩენ სფეროებში. 1995 წლის დამლევისათვის ქვეყანაში პრივატიზებულია 6300 ობიექტზე მეტი, ანუ საკუთრებაში გადაცემისათვის განკუთვნილი ობიექტების საერთო რაოდენობის 69 პროცენტი. თანაც, პრივატიზებული ობიექტების 42 პროცენტზე მეტს შეადგენენ ვაჭრობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტები, რაც მეტყველებს იმას, რომ ეგრეთ წოდებული „მცირე პრივატიზაციის" პროცესი დასასრულს უახლოვდება. ამასთან ერთად, რეგისტრირებულია აგრეთვე დაახლოებით 900 სააქციო საზოგადოება, რაც ასეთ საზოგადოებებად გარდაქმნილ სახელმწიფო საწარმოთა საერთო რაოდენობის 74 პროცენტს შეადგენს. მომხსენებელმა ასეთი ციფრებიც მოიყვანა: სამ მილიონზე მეტმა მოქალაქემ მიიღო საპრივატიზაციო ბარათები, მაგრამ უკვე გამართულ 16 საბარათო აუქციონში გამოყენებული იყო მხოლოდ 23,3 პროცენტი. ეს იმას ნიშნავს, რომ მოსახლეობას ჯერ კიდევ არა აქვს გააზრებული ვაუჩერების გამოყენების შესაძლებლობები, მისმა დიდმა ნაწილმა კი უბრალოდ გაყიდა ვაუჩერები, რათა შეეძინა პირველი საჭიროების საგნები. ყურადღებას იპყრობს ის ფაქტიც, რომ საბარათო აუქციონებზე გამოტანილ აქციათა საერთო რაოდენობის 58 პროცენტზე მეტი საერთოდ არ მოუთხოვიათ. არ გამოუჩნდა მყიდველი 530 საწარმოდან 138 საწარმოს აქციებს, მაშინ, როცა გასაყიდად განკუთვნილი აქციების საერთო რაოდენობაში მათი ხვედრითი წილი 35 პროცენტს შეადგენს.

მომხსენებელმა, აგრეთვე სხდომაზე გამოსულმა ფინანსთა მინისტრმა დავით იაკობიძემ, ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა ნოდარ ჯავახიშვილმა, სხვა ორატორებმა აღნიშნეს, რომ შარშან მნიშვნელოვანი სამუშაო განხორციელდა ფულად-საკრედიტო და სავალუტო რეგულირების გაუმჯობესების, საბანკო სისტემის სრულყოფის, მისი ლიკვიდურობის გადიდებისა და ცალკეული საბანკო დაწესებულებების ფინანსური მდგომარეობის გაჯანსაღების მიზნით. მთელი ეს მუშაობა მიზნად ისახავდა ინფლაციის მაჩვენებლისა და ფასების შემცირებას ეროვნული ვალუტის გაცვლითი კურსის სტაბილურობის მიღწევის გზით. აღსანიშნავია ისიც, რომ 1995 წლის დამდეგისათვის მოქმედი 229 ბანკიდან უმრავლესობამ ვერ შეძლო ემუშავა მოქმედი კანონმდებლობის დაცვით, რითაც უქმნიდნენ საფრთხეს მეანაბრეთა და დეპოზიტორთა ინტერესებს, ყოველივე ამით ახდენდნენ ამ უაღრესად საჭირო საბანკო ინსტიტუტის დისკრედიტაციას. ამისათვის 129 ბანკს ჩამოერთვათ საბანკო საქმიანობის ლიცენზიები. ეს პროცესი გრძელდება, საქართველოში დარჩება იმდენი ბანკი, რამდენიც მოიპოვებს მოსახლეობის ნდობას და განსაკუთრებულ ადგილს სახალხო მეურნეობაში. ეროვნულმა ბანკმა ჩაუყარა საფუძველი ახალ ფულად-საკრედიტო ინსტრუმენტს — ბანკთაშორის საკრედიტო აუქციონს, რომელიც დადებით როლს ასრულებს ბანკების ლიკვიდურობის გაუმჯობესებისა და რეალური საპროცენტო განაკვეთების დადგენის საქმეში. 1995 წელს პირველად გახდა შესაძლებელი საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციათა მეშვეობით რესპუბლიკის ეროვნული ბანკის საერთაშორისო რეზერვის შექმნა, რამაც საშუალება მოგვცა მიგვეღწია სავალუტო ბაზრის მართვადობისათვის და შემოგვეღო მიმოქცევაში ეროვნული ვალუტა — ლარი. ამას მოჰყვა მიმოქცევიდან 37,9 მილიონი ამერიკული დოლარისა და 70,6 მილიონი რუბლის ამოღება, რამაც მოახდინა ზემოქმედება საერთაშორისო რეზერვების ზრდაზე. სავალუტო ბაზრის კონიუნქტურის სტაბილურობამ და ეროვნული ბანკის რეზერვების შევსებამ შესაძლებელი გახადა, კერძოდ, იურიდიული პირებისათვის სახელმწიფოს სავალუტო ამონაგების 32 პროცენტის სავალდებულო მიყიდვის გაუქმება.

რესპუბლიკაში ეკონომიკური რეფორმის განხორციელების საქმეში უკანასკნელი პერიოდის მიღწევებიდან ყველაზე დიდი მნიშვნელობა ენიჭება პოზიტიურ ძვრებს ფულად-საკრედიტო და საბიუჯეტო სფეროებში. 1995 წელს საქართველოს ჰქონდა წინასწარ დამტკიცებული ბიუჯეტი. თუმცა, მისი შემოსავლის ნაწილი ერთ-ერთი ძირითადი წყარო იყო საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებიდან მიღებული სახსრები. კერძოდ, საერთაშორისო სავალუტო ფონდმა და მსოფლიო ბანკმა გამოუყვეს 182,5 მილიონი ლარი, რამაც 1995 წლისათვის ბიუჯეტის საერთო გასავლის თითქმის ნახევარი შეადგინა, შემოსავალში გადასახადებიდან შემოსულობათა ხვედრითმა წილმა 88 პროცენტი ანუ 130,04 მილიონი ლარი შეადგინა. შარშან საბაჟო სისტემიდან ბიუჯეტმა მიიღო 3,5-ჯერ მეტი სახსრები, ვიდრე წინა წელს. ამავე დროს ეს შემოსულობანი გაცილებით მეტი იქნებოდა, ამ სისტემის პოტენციური შესაძლებლობები მაქსიმალურად რომ ყოფილიყო გამოყენებული. მთლიანად, სახელმწიფო საგადასახადო სამსახურისა და საბაჟო დეპარტამენტისათვის 1995 წელი იყო სტრუქტურულ რეორგანიზაციათა და გარდაქმნათა პერიოდი, რის წყალობითაც, გასულ წელთან შედარებით, გამოიკვეთა გადასახადებისაგან შემოსულობათა მნიშვნელოვანი ზრდის ტენდენცია.

ბიუჯეტის შემოსავლები გაცილებით მნიშვნელოვანი იქნებოდა, საწარმოთა პოტენციალის მეტად ამოქმედების შემთხვევაში. სადღეისოდ რესპუბლიკაში რეგისტრირებული 74,8 ათასი საწარმოდან გადასახადების აქტიური გადამხდელია მხოლოდ დაახლოებით 40 ათასი იურიდიული და ფიზიკური პირი. საქმის ვითარებაზე ნეგატიური გავლენა მოახდინა იმანაც, რომ გამუდმებით იზრდებოდა საბანკო კრედიტების ვადაგასული დავალიანებანი, რომლებიც 1995 წლის დამდეგიდან ერთიოთხად გაიზარდა და წლის დამლევისათვის 40,3 მილიონ ლარს შეადგენდა.

რადიკალური ეკონომიკური რეფორმის ფარგლებში ფინანსური სტაბილიზაციის კომპლექსურ ღონისძიებათა განხორციელების კვალობაზე გამოიკვეთა საინფლაციო პროცესების შენელების ტენდენცია, რაც ეკონომიკის რეანიმაციის უმნიშვნელოვანეს წანამძღვრად უნდა მივიჩნიოთ. სოციალურ-ეკონომიკური ინფორმაციის დეპარტამენტის მონაცემებით, შარშან სამომხმარებლო ფასების ინდექსმა შეადგინა 157,5 პროცენტი, საშუალო თვიური ინფლაციის ტემპმა კი 3,85 პროცენტი. რაც შეეხება სახელმწიფოს მიერ რეგულირებულ ფასებსა და ტარიფებს, აქ შეიმჩნეოდა დაქვეითება 2,8 პროცენტით. მაგრამ, ამის მიუხედავად, 1995 წლის 1 ივლისიდან პურის საშუალო ფასი თითქმის 10 პროცენტით გაიზარდა, რის შედეგადაც იგი კიდევ უფრო მიუახლოვდა რეალურ დონეს და, შესაბამისად, გადიდდა პურის გაყიდვის შედეგად ამოგებული სახსრების ხარჯზე ბიუჯეტში შემოსული თანხები. და მაინც, აღინიშნა სხდომაზე, მსოფლიო ბაზარზე მარცვლეულის ფასების მომატების გამო, მიმდინარე წლის თებერვლის შუა რიცხვებიდან რესპუბლიკაში დაგეგმილია პურის ფასი გაიზარდოს საშუალოდ 40 პროცენტით მოსახლეობისათვის სრული კომპენსაციის გადახდის პირობებში.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ეკონომიკის სარესურსო უზრუნველყოფას. მატერიალური რესურსებით მომარაგების ცენტრალიზებული სისტემის მოშლის შემდეგ ამ პროცესს რესპუბლიკაში უარყოფითი ტენდენციები ახასიათებს. სამწუხაროდ, მომარაგების დარგში საბაზრო ეკონომიკის პრინციპები დიდი გაჭირვებით მკვიდრდება. სწორედ ამ მიზეზით, მთელ რიგ დარგებში შეიმჩნევა პროდუქციის წარმოების მოცულობის შემცირება. მაგალითად, შარშან საერთოდ არ უმუშავია 677 სამრეწველო საწარმოს, რაც მათი საერთო რიცხვის 44,7 პროცენტს შეადგენს.

როგორც ცნობილია, საქართველოს არ გააჩნია საკუთარი ენერგიაშემცველები, რათა ადგილობრივი რესურსებით დააკმაყოფილოს ეროვნული მეურნეობის მოთხოვნილება. მაგალითისათვის, შარშან ნავთობის მოპოვებამ შეადგინა 42,7 ათასი ტონა მაშინ, როცა დაპროგნოზებული იყო 120 ათასი ტონა. სხვათა შორის, ანალოგიურმა მაჩვენებელმა 1994 წელს 67 ათას ტონას მიაღწია. ნავთობპროდუქტების უკმარისობას ამწვავებს ქვეყნის ენერგოსისტემაში არსებული სერიოზული პრობლემები. ამ საქმეში უაღრესად ნეგატიურ ზემოქმედებას ახდენს „საქენერგოს" დეპარტამენტის ქრონიკული ფინანსური სირთულეები, რაც გამოწვეულია ელექტროენერგიის მომხმარებელთა მიერ მისი საფასურის გადაუხდელობით. საკმარისია ითქვას, რომ 1996 წლის 1 იანვრისათვის ამ დეპარტამენტისადმი დებიტორულმა დავალიანებამ 121 მილიონი ლარი შეადგინა. როგორც სხდომაზე თავის მოხსენებაში აღნიშნა „საქენერგოს" თავმჯდომარემ დავით ზუბიტაშვილმა, უახლოესი დღეების განმავლობაში დავალიანების თუნდაც ათი პროცენტი თუ არ დაიფარება, კატასტროფა გარდუვალია, რადგან დეპარტამენტი ვერაფრით ვერ გადაიხდის გაზისა და სხვა სათბობის საფასურს, რომელიც გამოიყენება რესპუბლიკის ენერგოობიექტებში. ამიტომ სხდომაზე კატეგორიული ფორმით მოსთხოვეს ადგილობრივ ადმინისტრაციათა მეთაურებს განახორციელონ სასწრაფო ღონისძიებანი, რათა უზრუნველყონ ენერგოობიექტების ფუნქციონირება, გადაუხადონ „საქენერგოს" ამისათვის საჭირო სახსრები დებიტორული დავალიანების სახით. ხოლო იმათ მიმართ, ვინც შეგნებულად არიდებს თავს გადასახადების გადახდას, მიღებული იქნება უაღრესად სასტიკი, საგანგებო ზომები, ელექტროენერგიის სრული გამორთვის ჩათვლითაც კი.

ენერგეტიკის პრობლემებზე, გადასახდელების დისციპლინის დამკვიდრების საჭიროებაზე ისაუბრა თავის გამოსვლაში რესპუბლიკის სახელმწიფო მინისტრმა

(დასასრული მე-8 გვ.).

ენერგეტიკა

ვის აძლევს ხელს აჟიოტაჟი

ტელევიზიო პროგრამა „ალიონის" 29 იანვრის გამოშვებაში გადაცემული ინფორმაცია „საქენერგოს" სისტემაში შექმნილი კატასტროფული მდგომარეობის შესახებ კატეგორიულად უარყო თავმჯდომარემ დავით ზუბიტაშვილმა.

ჩვენს კორესპონდენტთან საუბარში მან განაცხადა, რომ ენგურჰესის გაჩერების საკითხი „საქენერგოს" ხელმძღვანელობას არ განუხილავს.

— სინამდვილეს არ შეეფერება ისიც, — თქვა მან, — რომ „თბილსრესში" მაზუთის მხოლოდ ორი დღის მარაგია დარჩენილი. ჯერ ერთი, მარაგი დაახლოებით ხუთჯერ მეტია, მაგრამ ესეც არ არის საკმარისი და ჩვენ ვმუშაობთ მის შესავსებად. მეორეც ის, რომ ეს ელექტროსადგური ძირითადად (80 პროცენტით) ბუნებრივ გაზზე მუშაობს, რისთვისაც დაახლოებით 1 მილიონ 800 ათას ტონას ვღებულობთ, უფრო მეტს, ვიდრე გვეკუთვნის, და ასეც გაგრძელდება.

რბილად რომ ვთქვა, არაზუსტია ინფორმაცია ქუთაისის შესახებაც, თითქოს საწარმოთა მნიშვნელოვანი ნაწილი გაჩერებულია ელექტროენერგიის უქონლობის გამო, და მოსახლეობის უმეტესი ნაწილი სამი დღეა სიბნელეში ზის. საქმე ის არის, რომ შეზღუდვების გრაფიკზე გადავიდა ეს ქალაქიც. ამასთან, საქართველოსთვის სასიცოცხლო მნიშვნელობის არცერთი ობიექტი ელექტროენერგიის გარეშე არ დაგვიტოვებია.

ფოთის პორტის შესახებ კი საერთოდ არ უნდა დაისვას საკითხი. რომც მოხდეს ავარიული გამორთვა, პორტს აქვს დიზელგენერატორი, რომლითაც უნდა უზრუნველყოს ყველა უბნის შეუფერხებელი მუშაობა, მათ შორის, გემების გადმოტვირთვაც.

საკითხავი ის არის, ვის აძლევს ხელს ასეთი აჟიოტაჟი, ასეთი პანიკა?

საქართველოს პარლამენტის დადგენილება

ეროვნული უშიშროების საბჭოს შესახებ საქართველოს კანონის თაობაზე

საქართველოს პარლამენტი **ადგენს:**

მიღებულ იქნეს საქართველოს კანონი ეროვნული უშიშროების საბჭოს შესახებ.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე
ზურაბ ჟვანია.

თბილისი, 1996 წლის 24 იანვარი.

საქართველოს პარლამენტის დადგენილება

ეროვნული უშიშროების საბჭოს შესახებ საქართველოს კანონის ამოქმედების თაობაზე

საქართველოს პარლამენტი **ადგენს:**

1. ამოქმედდეს საქართველოს კანონი ეროვნული უშიშროების საბჭოს შესახებ გამოქვეყნებისთანავე.

2. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს რესპუბლიკის 1993 წლის 2 ივლისის კანონი (საქართველოს პარლამენტის უწყებები, 1993 წ., № 9, მუხ. 156) „საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული უშიშროებისა და თავდაცვის საბჭოს შესახებ".

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე
ზურაბ ჟვანია.

თბილისი, 1996 წლის 24 იანვარი.

საქართველოს კანონი

ეროვნული უშიშროების საბჭოს შესახებ

მუხლი 1. ეროვნული უშიშროების საბჭო

საქართველოს კონსტიტუციის 99- მუხლის თანახმად სამხედრო აღმშენებლობისა და ქვეყნის თავდაცვის ორგანიზაციისათვის იქმნება ეროვნული უშიშროების საბჭო, რომელსაც ხელმძღვანელობს საქართველოს პრეზიდენტი.

მუხლი 2. ეროვნული უშიშროების საბჭოს სტატუსი

ეროვნული უშიშროების საბჭო არის საქართველოს პრეზიდენტის სათათბირო ორგანო სამხედრო აღმშენებლობისა და თავდაცვის ორგანიზაციის, ქვეყნის უშიშროებასთან დაკავშირებული საშინაო და საგარეო პოლიტიკის, სტაბილურობისა და მართლწესრიგის უზრუნველყოფის სტრატეგიულ საკითხებზე გადაწყვეტილებათა მისაღებად.

ეროვნული უშიშროების საბჭოს შემადგენლობა, უფლებამოსილება და საქმიანობის წესი განისაზღვრება საქართველოს კონსტიტუციით, ამ კანონითა და სხვა საკანონმდებლო აქტებით.

მუხლი 3. ეროვნული უშიშროების საბჭოს უფლებამოსილება

ეროვნული უშიშროების საბჭო საქართველოს პრეზიდენტის დავალებით:

ა) უზრუნველყოფს ეროვნული უშიშროების კონცეფციის შემუშავებას;

ბ) განიხილავს საშინაო და საგარეო პოლიტიკის უმნიშვნელოვანეს საკითხებს, რომლებიც უშუალოდ უკავშირდება სახელმწიფოს თავდაცვისა და უშიშროების უზრუნველყოფას;

გ) განიხილავს სამხედრო ძალების მშენებლობისა და განმტკიცების პროგრამებს და უზრუნველყოფს მათი განხორციელების ორგანიზაციას;

დ) შეისწავლის და აანალიზებს საერთაშორისო კონფლიქტის ზონებში არსებულ მდგომარეობას და პერსპექტივებს;

ე) შეიმუშავებს წინადადებებს კოლექტიური უშიშროების სისტემებთან საქართველოს თანამშრომლობის შესახებ;

ვ) საქართველოს მიერ დადებული ან აღიარებული საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების შესაბამისად განიხილავს ქვეყნის საზღვრებს გარეთ უშიშროების უზრუნველყოფის ღონისძიებებში საქართველოს მონაწილეობის საკითხებს;

ზ) განიხილავს სახელმწიფოს თავდაცვის მიზნით განსაკუთრებულ და კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში ქვეყანაში სხვა სახელმწიფოს სამხედრო ძალების შემოყვანის, გამოყენებისა და გადაადგილების საკითხებს;

თ) შეიმუშავებს კანონებისა და სხვა ნორმატიული აქტების პროექტებს თავდაცვისა და ეროვნული უშიშროების საკითხებზე;

ი) საქართველოს პარლამენტს ყოველწლიურად დასამტკიცებლად წარუდგენს სამხედრო ძალების რაოდენობას;

კ) განიხილავს სამხედრო ძალების საბრძოლო და სამობილიზაციო მზადყოფნის საკითხებს;

ლ) ამზადებს საქართველოს პრეზიდენტის — სამხედრო ძალების უმაღლესი მთავარსარდლის სადირექტივო დოკუმენტებს სამხედრო ძალებისათვის მათ წინაშე დასახული ამოცანების შესასრულებლად;

მ) კოორდინაციას უწევს სამხედრო სამეცნიერო-კვლევით სამუშაოებს;

ნ) განიხილავს სამხედრო მრეწველობის ფუნქციონირებისა და განვითარების პერსპექტივებს;

ო) განიხილავს სამხედრო კადრების მომზადების, განაწილების, სამხედრო სამსახურში გაწვევისა და მობილიზაციის საკითხებს;

პ) კოორდინაციას უწევს თავდაცვის, სახელმწიფო უშიშროების, დამნაშავეობასთან ბრძოლის და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამსახურების საქმიანობას უშიშროების, მართლწესრიგისა და სტაბილურობის უზრუნველყოფის სტრატეგიულ საკითხებში;

ჟ) აკონტროლებს საქართველოს სამინისტროების, სახელმწიფო დეპარტამენტის, მთავარი სამმართველოების, კორპორაციების და სხვა სახელმწიფო უწყებების, ავტონომიური რესპუბლიკების სახელმწიფო მმართველობისა და მმართველობის ადგილობრივი ორგანოების საქმიანობას უშიშროებისა და თავდაცვის სფეროში;

რ) ხელშეკრულებით სამუშაოდ იწვევს ორგანიზაციების, სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების, სამართლებრივი, ეკონომიკური, სოციოლოგიური და პოლიტიკური ცენტრების ცალკეულ მეცნიერებსა და სპეციალისტებს;

ს) შეიმუშავებს და საქართველოს პრეზიდენტს წარუდგენს აუცილებელ ღონისძიებათა კომპლექსს ქვეყნის სასიცოცხლო ინტერესების საწინააღმდეგო საშინაო და საგარეო საფრთხის გამოვლენის, პროგნოზირების, მისი თავიდან აცილებისა და ნეიტრალიზაციისათვის;

ტ) საგანგებო სიტუაციისას შეიმუშავებს წინადადებებს მძიმე პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური, ეკოლოგიური და სხვა შედეგების თავიდან ასაცილებლად ან აღმოსაფხვრელად;

უ) ორგანიზაციას უწევს და აკონტროლებს საქართველოს სასიცოცხლო მნიშვნელობის ობიექტების საიმედო დაცვისა და უსაფრთხო ფუნქციონირებისათვის აუცილებელ ღონისძიებათა შემუშავებასა და განხორციელებას;

ფ) განიხილავს საქართველოს პრეზიდენტის მიერ საომარი ან საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებასთან დაკავშირებულ საკითხებს;

ქ) განიხილავს საგანგებო სიტუაციის რეგიონში საქართველოს პრეზიდენტის წარმომადგენლის დანიშვნასთან დაკავშირებულ საკითხებს;

ღ) ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს.

მუხლი 4. ეროვნული უშიშროების საბჭოს შემადგენლობა

ეროვნული უშიშროების საბჭოს შემადგენლობაში შედიან: საქართველოს პრეზიდენტი (საბჭოს თავმჯდომარე), საქართველოს სახელმწიფო მინისტრი, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი, საქართველოს თავდაცვის მინისტრი, საქართველოს სახელმწიფო უშიშროების მინისტრი, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი და ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანი.

ეროვნული უშიშროების საბჭოს ამ და სხვა წევრებს ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი.

ეროვნული უშიშროების საბჭოს საქმიანობაში უშუალოდ მონაწილეობენ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოების თავმჯდომარეები.

ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანი თანამდებობით არის საქართველოს პრეზიდენტის თანაშემწე ეროვნული უშიშროების საკითხებში.

მუხლი 5. ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივნის უფლებამოსილება

ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანი:

ა) უზრუნველყოფს ეროვნული უშიშროების საბჭოს მუშაობის ორგანიზაციას;

ბ) ხელმძღვანელობს ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატს;

გ) საქართველოს პრეზიდენტს დასამტკიცებლად წარუდგენს ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატის სტრუქტურასა და საშტატო განრიგს, აგრეთვე ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატისა და მისი ქვედანაყოფების დებულებებს;

დ) ამზადებს ეროვნული უშიშროების საბჭოს სხდომებს;

ე) აკონტროლებს ეროვნული უშიშროების საკითხებზე საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებების, განკარგულებების და სხვა აქტების შესრულებას;

ვ) კოორდინაციას უწევს ეროვნული უშიშროების საბჭოს მიერ შექმნილი მუდმივი ან დროებითი საუწყებათაშორისო კომისიების საქმიანობას;

ზ) ხელს აწერს ეროვნული უშიშროების საბჭოს შეკვეთებსა და საექსპერტო-ანალიზურ სამუშაოთა შესრულების ხელშეკრულებებს;

თ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში ხელს აწერს სამსახურებრივ დოკუმენტებს.

მუხლი 6. ეროვნული უშიშროების საბჭოში საკითხის განხილვის წესი

ეროვნული უშიშროების საბჭოს სხდომას იწვევს საქართველოს პრეზიდენტი.

ეროვნული უშიშროების საბჭოს წევრები შეიმუშავებენ რეკომენდაციებს განსახილველ საკითხებზე პრეზიდენტის მიერ გადაწყვეტილების მისაღებად.

ეროვნული უშიშროების უზრუნველყოფის საკითხებზე, ეროვნული უშიშროების საბჭოს მიერ შემუშავებული რეკომენდაციების საფუძველზე საქართველოს პრეზიდენტი გამოსცემს შესაბამის აქტებს.

მუხლი 7. ეროვნული უშიშროების საბჭოს საუწყებათაშორისო კომისიები

ეროვნული უშიშროების საბჭო თავისი საქმიანობის ძირითადი ამოცანების შესაბამისად ფუნქციურ ან რეგიონალურ საფუძველზე ქმნის მუდმივ ან დროებით საუწყებათაშორისო კომისიებს.

ეროვნული უშიშროების საბჭოს წინადადებით მუდმივ ან დროებით საუწყებათაშორისო კომისიას ხელმძღვანელობს ეროვნული უშიშროების საბჭოს წევრი ან პრეზიდენტისგან საამისოდ უფლებამოსილი პირი.

ეროვნული უშიშროების საბჭოს კომისიების უფლებამოსილების, შექმნისა და საქმიანობის წესი განისაზღვრება დებულებით, რომელსაც ამტკიცებს საქართველოს პრეზიდენტი.

მუხლი 8. ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატი

ეროვნული უშიშროების საბჭოს ორგანიზაციულ-ტექნიკურ და ინფორმაციულ-ანალიზურ საქმიანობას უზრუნველყოფს მისი აპარატი, რომელსაც ხელმძღვანელობს ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანი.

ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატის სტრუქტურასა და საშტატო განრიგს, აპარატისა და მისი ქვედანაყოფების დებულებებს ამტკიცებს საქართველოს პრეზიდენტი.

საქართველოს პრეზიდენტი
ედუარდ შევარდნაძე.

თბილისი, 1996 წლის 24 იანვარი.



ვერავინ ეღირსება პროკურატურის დაჩოქებით ძირი გამოუთხაროს ახლადფეხადგმულ სახელმწიფოს. ყოველი ასეთი მცდელობა დასაღუპად არის განწირული

საქართველოს გენერალური პროკურორის ჯამლეთ ბაბილაშვილის გამოსვლა საქართველოს მთავრობის გაფართოებულ სხდომაზე 1996 წლის 27 იანვარს

დღევანდელ შეკრებას განსაკუთრებული განწყობა ახლავს, რადგან აქ დამსწრეთა დიდი ძალისხმევის შედეგად, სხვებთან ერთად, უზრუნველყოფილი იქნა საქართველოში ჭეშმარიტად დემოკრატიული და თავისუფალი არჩევნების ჩატარება. ქვეყანას უკვე ჰყავს ხალხის დიდი უმრავლესობის მხარდაჭერით არჩეული პრეზიდენტი და პარლამენტი. ჩვენი ხალხის სიბრძნისა და კეთილგონიერების წყალობით შენარჩუნებული იქნა ხელისუფლების უწყვეტობა ახალი სახელმწიფოს მშენებლობის ურთულეს პროცესში.

თუ ვინმეს სითამამეში არ ჩამომერთმევა, მე მინდა ჩემი კოლეგების სახელით, ერთხელ კიდევ მივულოცო ბატონ ედუარდ შევარდნაძეს საქართველოს მოსახლეობის ეს დიდი ნდობა და საყოველთაო აღიარება, ვუსურვო ჯანმრთელობა და ახალი წარმატებები ჩვენი სამშობლოს საკეთილდღეოდ.

თათბირს უნდა მოვახსენო, რომ საქართველოს პროკურატურამ სხვა სამართალდამცველ ორგანოებთან ერთად გარკვეული მუშაობა გასწია 1995 წელს დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლისა და კანონიერების აღსადგენად.

დიდი მნიშვნელობა ჰქონდა „ტერორიზმის, რეკეტის, ბანდიტიზმისა და სხვა ორგანიზებულ დანაშაულობათა წინააღმდეგ ბრძოლის გადაუდებელ ღონისძიებათა შესახებ" სახელმწიფოს მეთაურის ცნობილი ბრძანებულების განხორციელებას, დამნაშავეობისა და განსაკუთრებით ბანდიტიზმის წინააღმდეგ ბრძოლას განსაკუთრებული იმპულსი მისცა სახელმწიფოს მეთაურის ასევე ცნობილმა ბრძანებულებამ მაშველთა კორპუსის წევრებისათვის ცეცხლსასროლი იარაღის ტარების ადრე მიცემული უფლების ჩამორთმევისა და აღნიშნული ორგანიზაციის როგორც ანტისახელმწიფოებრივი დაწესებულების გაუქმების შესახებ. იმ დროისათვის ამ ფრიად გაბედულმა და სავსებით სწორმა გადაწყვეტილებებმა, რასაც დიდი მოწონებით შეხვდა მთელი მოსახლეობა, საბოლოოდ გაუხსნა ხელი სამართალდამცველ ორგანოებს ბანდიტიზმისა, რეკეტისა და ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში და, როგორც იტყვიან, შედეგებმაც არ დააყოვნა: მხილებული და დაპატიმრებული იქნა უაღრესად საშიშ დამნაშავეთა კარგად ორგანიზებული და ღრმად კონსპირირებული ჯგუფები, რომლებიც თავს აფარებდნენ მაშველთა კორპუსს, სახელმწიფო უშიშროების ორგანოებსა თუ სხვა ოფიციალურ სტრუქტურებს, რაზეც დაწვრილებით ქვევით მოგახსენებთ.

1995 წლის კრიმინოგენული მდგომარეობის ანალიზის დასკვნები ასეთია: მნიშვნელოვნად არის შემცირებული რეგისტრირებულ დანაშაულობათა საერთო რაოდენობა, სერიოზული კლებაა ისეთი მძიმე და საშიში დანაშაულობებისა, როგორიცაა ბანდიტიზმი, განზრახ მკვლელობა, ყაჩაღობა, გაუპატიურება, ძარცვა და სხვა. ამ მხრივ პოზიტიური ძვრები აღინიშნება რესპუბლიკის 40-მდე ქალაქსა და რაიონში.

წინა წლებთან შედარებით, მდგომარეობის ერთგვარი გაუმჯობესების მიუხედავად, კრიმინოგენული ვითარება კვლავ დაძაბული რჩება გარდაბანში, ოზურგეთში, ლანჩხუთში, ქ. თბილისის საბურთალოს რაიონში, ქ. რუსთავში, ლაგოდეხში, სამტრედიაში, თერჯოლასა და ყაზბეგში.

ვფიქრობთ, დასახელებული რაიონებისა და ქალაქების პროკურორები, ადგილობრივ ხელისუფლებასთან და სხვა სამართალდამცველ ორგანოებთან ერთად ღრმად უნდა გაერკვნენ მიზეზებში და მიიღონ დამატებითი ღონისძიებები მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

მნიშვნელოვნადაა შემცირებული ჯგუფური დანაშაული. სამაგიეროდ, იმატა სიმთვრალეში ჩადენილ დანაშაულობათა რიცხვმა, ხოლო რაც შეეხება რეციდივულ დანაშაულს, მისი მაჩვენებელი სტაბილურია.

პოზიტიურ ელემენტებთან ერთად დანაშაულობათა დინამიკის ჩრდილოვანი მხარეებიც შეინიშნება. მნიშვნელოვნად იმატა დამნაშავეობამ მოზარდთა შორის, გაიზარდა ანგარების მიზნით ადამიანთა გატაცების შემთხვევები, იმატა მოქალაქეთა და სახელმწიფო ქონების დატაცებამ.

დიდი მუშაობაა გაწეული მძიმე და საშიშ დანაშაულობათა გასახსნელად. მდგომარეობა ამ მხრივ შეიძლება ითქვას, საგრძნობლად არის გაუმჯობესებული, თუმცა ეს ყველა რეგიონს როდი ეხება.

სერიოზული პრეტენზიები გვაქვს ქ. თბილისის საბურთალოს, ნაძალადევის, ჩუღურეთის, გარდაბნის, დუშეთის, ყაზბეგის, ხაშურის, ლანჩხუთის, ლენტეხის, მესტიის, ონის, ხარაგაულის, სამტრედიის, საჩხერისა და წალენჯიხის სამართალდამცველ ორგანოებთან. თუ აქაურმა პროკურორებმა ძირეულად არ შეცვალეს დამოკიდებულება ამ პრობლემისადმი, ჩვენ იძულებული ვიქნებით მივიღოთ ყველაზე გადამჭრელი ზომები, თვით სამსახურიდან დათხოვნამდეც კი.

შედარებით უკეთესობაა მიმალულ დამნაშავეებისა და უგზო-უკვლოდ დაკარგულ პირთა ძებნის საქმეშიც, თუმცა გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრია, რადგან წინა წლების ჩათვლით, მაინც მძიმე დამნაშავეთა დიდი ნაწილი ემალება მართლმსაჯულებას.

აი, ასეთი გახლავთ მოკლედ ქვეყანაში არსებული დამნაშავეობის მდგომარეობის ძირითადი პარამეტრები.

ბატონო პრეზიდენტო! დასკვნა ასეთია: კრიმინოგენური მდგომარეობა გასულ წლებთან შედარებით აშკარად გამოსწორდა, ქვეყნის სტაბილურობამ და უსაფრთხოებამ საბოლოოდ მიიღო შეუქცევადი ხასიათი, რაც იმას მეტყველებს, რომ დამნაშავეობასთან ბრძოლაში გარდატეხა უკვე მოხდა. სახელმწიფო დღეს პრაქტიკულად აკონტროლებს ქვეყანაში მიმდინარე ყველა პროცესს და უნარი შესწევს გადამწყვეტი ზომები მიიღოს დესტრუქციული ქმედობის ნებისმიერი რეციდივის აღსაკვეთად. თუმცა პრობლემები დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლაში ჯერ კიდევ არის და არცთუ ისე ცოტა. მაგრამ ყველაფერი ეს, როგორც იტყვიან, ნორმის ფარგლებშია და მათი მოწესრიგება სავსებით შესაძლებელია.

საანგარიშო პერიოდში პროკურატურის საქმიანობის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად განსაზღვრული იყო დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლა. ამ მხრივ თავისი გადამწყვეტი სიტყვა თქვა ჩვენმა საგამოძიებო აპარატმა, რომლის ძალებითაც გამოძიებულ იქნა არაერთი რთული, მრავალეპიზოდიანი და დიდი საზოგადოებრივი რეზონანსის მქონე სისხლის სამართლის საქმე. პროკურორებმა 1995 წლის განმავლობაში გასცეს სანქცია 6400 პირის მიმართ, აქედან 130-ზე მეტი ჩემს მიერ იქნა დაპატიმრებული.

საანგარიშო პერიოდში პროკურატურის მუშაკებმა გამოიძიეს 2 ათასზე მეტი სისხლის სამართლის საქმე, ზედამხედველობა გაუწიეს შს სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტში გამოძიებულთა 6 ათას და სახელმწიფო უშიშროების — 70-მდე სისხლის სამართლის საქმეს, რაც საგამოძიებო აპარატის ქმედუნარიანობასა და დიდ პროდუქტიულობას მოწმობს.

მარტო პროკურატურის გამომძიებლების მიერ 1995 წელს რეალურად ამოღებულ იქნა და სახელმწიფოს დაუბრუნდა მილიონობით ფულადი სახსრები. ყველა სამსახურის მიხედვით ამოღებულია 20 მილიონი ლარი, 5 მილიონი დოლარი და 50 000 გერმანული მარკა, აღარაფერს ვამბობთ დაყადაღებულ და სასამართლო წესით ამოსაღებ თანხებზე, რომელთა რაოდენობაც 10-ჯერ მეტია.

პროკურატურაში დამთავრდა ლოთი ქობალიას, თენგიზ კიტოვანისა და სხვათა საქმეების გამოძიება, რომელთა განხილვასაც სასამართლო უკვე შეუდგა.

ნაგულისხმევია, რომ კიტოვანის ე. წ. „მოლაშქრეთა" განიარაღებით დაიწყო პრაქტიკულად ის გარდატეხა, რაზეც ზემოთ უკვე მოგახსენეთ. სწორედ ამით დავამტკიცეთ, რომ უკვე სახელმწიფო გვაქვს და არავის არა აქვს უფლება ქვეყანა ჩაითრიოს ვიწრო ამბიციურ ავანტიურებში.

მეორე სერიოზული განაცხადი დამნაშავეობასთან ბრძოლაში გახლდათ მხედრიონის ბანდიტურ დაჯგუფებათა ალაგმვა, რასაც დიდი იმპულსი მისცა გასული წლის მაისში თელავში ჩატარებულმა რესპუბლიკურმა თათბირმა, სადაც მაშველთა კორპუსის ხელმძღვანელებმა საბოლოოდ ჩამოიხსნეს ნიღაბი და დაგვანახვეს ნამდვილი სახე — აშკარად დაუპირისპირდნენ ხელისუფლებას. თათბირის შეჯამებისას სახელმწიფოს მეთაურმა ღრმად გააანალიზა შექმნილი მდგომარეობა და საზღვარი დაუდო კრიმინალური ელემენტების თარეშს სახელმწიფო სტრუქტურებში, მათ პოლიტიკურ ამბიციებსა და პრეტენზიებს პოლიტიკასა და ქვეყნის მმართველობაში. შემდეგ იყო შინაგან საქმეთა სამინისტროსა და პირადად ბატონ შოთა კვირაიას ცნობილი ფართომასშტაბიანი ოპერაციები, რომლებმაც გადამწყვეტი როლი შეასრულა რეკეტისა და ბანდიტიზმის ლოკალიზების საქმეში. პოლიციისა და პროკურატურის მიერ დაპატიმრებულ იქნა ათობით კარგად ორგანიზებული და საშიში დანაშაულებრივი ჯგუფები კახეთში, თბილისში, რუსთავში, სამტრედიაში და სხვაგან.

პროკურატურაში დღეისათვის უკვე დამთავრდა ე. წ. კახეთის „მხედრიონის" საქმე, რომელიც გამოძიებულ იქნა შს სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტის მუშაკთა აქტიური მონაწილეობით.

მძიმე დანაშაულობებისათვის სისხლის სამართლის პასუხისგებაშია მიცემული 50-მდე პირი.

იმერეთის სამხარეო პროკურატურაში მთავრდება ე. წ. სამტრედიის „მხედრიონელთა" საქმის გამოძიება, სადაც სხვადასხვა მძიმე დანაშაულობების ჩადენაში იმხილებიან ელდარ გოგბერაშვილი, რეზო და ზურაბ ვაშაკიძეები და სხვები, სულ 30-მდე პირი.

ამ საქმეების ანალიზი გვიჩვენებს, რომ გამოძიება ჯერ კიდევ ვერ ჩაწვდა მოვლენის სიღრმისეულ პროცესებს, კერძოდ იმას, რომ ეს ქმედობანი შემადგენელი რგოლებია იმ ერთიანი ჯაჭვისა, რასაც ძალისმიერი მეთოდებით ქვეყანაში საკუთრების გადანაწილება ჰქვია. სწორედ აქეთკენ იყო მიმართული მხედრიონის ის ცნობილი დანაშაულებრივი საქმიანობა, რამაც მათ სალაროს მილიონობით დოლარი შესძინა. ეს ფული ჯერჯერობით მოკვლეული არ არის გამოძიების მიერ. თანხების ნაწილი საზღვარგარეთ არის დალექილი, ნაწილს კი ცალკეული პირები საქმეში ატრიალებენ ადგილებზე. პროკურატურას მიაჩნია, რომ თუ ჩვენ ამ ბანდიტურ ორგანიზაციას ეკონომიკური საფუძველი არ გამოვაცალეთ და კრიმინალური გზებით მოპოვებული ეს თანხები არ ამოვიღეთ, კვლავ დიდი იქნება საშიშროება სხვადასხვა პოლიტიკური შეფერილობით ამ ორგანიზაციის რესტავრაციისა შესაძლო მძიმე შედეგებით. ნუ დაგვავიწყდება ისიც, რომ მძიმე დანაშაულობებში ეჭვმიტანილი ბევრი მხედრიონელი და პროფესიონალი ტერორისტი გაქცეულია რესპუბლიკიდან და თავს საზღვარგარეთ აფარებს, მათ მიერ დიდძალი იარაღია გადამალული საქართველოში, ისინი დიდი ინტერესით ადევნებენ თვალს ჩვენთან მიმდინარე პროცესებს და უკან დასაბრუნებლად შესაფერის მომენტს ელოდებიან. აღარაფერს ვამბობ მათს სხვა ბნელ ზრახვებზე.

ამიტომ, მე მინდა ვთხოვო აქ დამსწრე ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს, არ მოადუნონ ყურადღება და კვლავ აქტიური მონაწილეობა მიიღონ ზემოხსენებული საკითხების გარკვევაში.

რაც შეეხება გამოძიებასა და სხვა ოპერატიულ სამსახურებს, მათი საქმიანობა სწორედ ამ მიმართულებით უნდა გარდაიქმნას, ფართოდ უნდა გამოვიყენოთ სახელმწიფო უშიშროებისა და ინტერპოლის შესაძლებლობანი, ჩვენი კავშირები დსთ-ს სამართალდამცველებთან. ეიფორიას არ უნდა მივეცეთ, რეალობას უნდა გავუსწოროთ თვალი.

პროკურატურისა და შინაგან საქმეთა სამინისტროში გრძელდება მუშაობა გასული წლის 29 აგვისტოს მომხდარი და ადრე ჩადენილ ტერორისტულ აქტებზე. გამოძიებაში აქტიურად ჩაერთო სახელმწიფო უშიშროების სამინისტროც ახალი მინისტრის ხელმძღვანელობით. ვსარგებლობთ შემთხვევით და მთელი ჩვენი კოლექტივის სახელით ვულოცავთ ბატონ შოთას პრეზიდენტის მიერ ამ მაღალ თანამდებობაზე დანიშვნას, მჯერა, რომ მისი უწყების ჩართვა ტერორიზმის საქმეთა გამოძიებაში ახალ იმპულს მიანიჭებს საქმეს, დიდად დაეხმარება ოპერატიული ინფორმაციით უზრუნველყოფაში. მით უმეტეს, რომ ამ საქმეთა გახსნის ერთ-ერთი მთავარი ავტორი, როგორც იცით, თვითონ იგი ბრძანდება.

ასევე გულწრფელად მინდა მივულოცო ბატონ კახა თარგამაძეს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრად დანიშვნა, დარწმუნებული ვარ, რომ იგი გააგრძელებს იმ საქმიან, ურთიერთმომთხოვნ და კოლეგიურ ურთიერთობას, რაც მე და ბატონ შოთას გვქონდა და გვაქვს ჩვენს სამსახურებთან ერთად.

ბატონო პრეზიდენტო! უნდა მოგახსენოთ, რომ გაწეული კოლოსალური შრომის შედეგად ტერორისტების საქმეთა გამოძიება პრაქტიკულად დასასრულს უახლოვდება.

თუ, რა თქმა უნდა, აღმოჩენილი არ იქნა ახალი ფაქტები, როგორც ეს იგორ გიორგაძის მიმართ მოხდა. გარდა იმისა, რომ იგი რესპუბლიკაში მომხდარი ტერორისტული აქტების ცენტრალური ფიგურაა, გიორგაძე დოკუმენტურად იმხილება, აგრეთვე ნავთობის მაფიასთან მჭიდრო კავშირშიც.

ამ დღეებში რესპუბლიკის ტრანსპორტის პროკურორის მიერ დაპატიმრებული იქნა სახელმწიფო უშიშროების სამსახურის სამეურნეო სამმართველოს ყოფილი უფროსი თამაზ მირიანაშვილი, რომელიც გიორგაძის ხელშეწყობით დანიშნული იყო საქნავთობპროდუქტის ვიცე-პრეზიდენტად უშიშროების ხაზით, როგორც დადგინდა, მირიანაშვილმა გიორგაძის დავალებით უშიშროების სამსახურში შექმნილი ჰქონდა კომერციული ფირმა „ალფა", რომლის სახელითაც უშიშროების სამსახურის ავტორიტეტის გამოყენებითა და იგორ გიორგაძის უშუალო ხელმძღვანელობით, ვითომდა სამსახურებრივი საჭიროებისათვის, სხვადასხვა ორგანიზაციებს ართმევდა, უფრო სწორად, სძალავდა დიდი ოდენობის ნავთობპროდუქტებს და ახდენდა მათ რეალიზაციას, აღებულ თანხას იყოფდა გიორგაძესთან ერთად. შეკრებილ მტკიცებულებათა თანახმად, აღნიშნულმა დანაშაულებრივმა ჯგუფმა სხვებთან ერთად 1994 წლის განმავლობაში სხვადასხვა ყალბი დოკუმენტების გამოყენებით რეალიზაცია გაუკეთა 60 ვაგონ ცისტერნა საწვავს და აღებული ფული მილიონ-ნახევარი დოლარის ოდენობით მიითვისა.

მოსკოვში 19 იანვარს გამართულ სამიტზე საქართველოს დელეგაციის სერიოზული დიპლომატიური წარმატებები გვაიმედებს, რომ დღეს თუ ხვალ რუსეთი იგორ გიორგაძესა და მის დამქაშებს გადმოგვცემს, რაც დიდად შეუწყობს ხელს საქმის ყოველმხრივ და სრულ გამოძიებას.

ბატონებო!

საანგარიშო პერიოდში ჩვენმა სამართალდამცველმა ორგანოებმა სერიოზული ნაბიჯები გადადგეს კორუფციასთან საბრძოლველად. ამის დასაწყისი გახლდათ რესპუბლიკის რკინიგზის დეპარტამენტის თავმჯდომარის რემი ვაშაკიძის დაპატიმრება და რკინიგზაზე მოკალათებული მაფიის დაშლა. ეს საქმეებიც პროკურატურის წარმოებაშია.

დღეისათვის ვაშაკიძეს დაუმტკიცდა და ბრალად ედება მექრთამეობა, განსაკუთრებით დიდი ოდენობის სახელმწიფო ქონების დატაცება და სხვა.

ბევრი მძიმე ბრალდების გასაქარწყლებლად, განსაკუთრებით უკანონოდ მოპოვებული ჯართისა და სხვა მეორადი ნედლეულის გადაზიდვებთან დაკავშირებით, ვაშაკიძე იშველიებს რესპუბლიკის ყოფილი მთავრობის მიერ გაცემულ საბუთებს, რომლებსაც მაღალი რანგის ხელმძღვანელები აწერენ ხელს. ამ დოკუმენტების კანონიერებას გამოძიება სწავლობს და თუ იქ მართლაც რაიმე გადაცდომა დადასტურდა, მაშინ შესაბამისი სამართლებრივი დასკვნების გაკეთება იქნება აუცილებელი. თუმცა, ნუ ვიჩქარებთ და დაველოდოთ გამოკვლევის შედეგებს.

ამ დღეებში დაპატიმრებულია ადიგენის რაიონის ყოფილი გამგებელი მიხეილ თუმანიშვილი, რომელსაც ბრალად ედება განსაკუთრებით დიდი ოდენობის სახელმწიფო ქონების დატაცება. საქმეს იძიებს მესხეთ-ჯავახეთის სამხარეო პროკურატურა.

კორუფციასთან ბრძოლა კიდევ უფრო მწვავე ხასიათს მიიღებს.

ბატონებო! გამოძიება რთული და შრომატევადი პროცესია განსაკუთრებით დღეს, როდესაც უამრავ სიძნელეებსა და დაბრკოლებებს ვაწყდებით. მიუხედავად იმ მიმართებით გაწეული დიდი შრომისა, ჯერ კიდევ დაზღვეული არა ვართ ცალკეული ნაკლოვანებებისაგან. განსაკუთრებული პრეტენზიები გვაქვს გამოძიების ვადებისა და ხარისხის მიმართ. რაც საერთოდ გამოძიების მაჩვენებლებთან ერთად, სპეციალურად იქნება განხილული კოლეგიაზე.

მიუხედავად შს სამინისტროს შესაბამისი სამსახურების დიდი ძალისხმევისა, კვლავ მძიმე მდგომარეობაა შრომა-გასწორების დაწესებულებებსა და საგამოძიებო იზოლატორებში. ისევ გადაუჭრელ პრობლემად რჩება სპეცკონტინგენტის დასაქმებისა და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების საკითხები. ამჟამად სასჯელს 5 392 პირი იხდის, აქედან მხოლოდ 6%-ია დასაქმებული, გასაგები მიზეზების გამო სირთულეებია მათ სამედიცინო მომსახურებაშიც.

დაბალი რეჟიმით მუშაობენ საგამოძიებო იზოლატორები, რაც ცალკეულ შემთხვევებში, სამწუხაროდ, ობიექტურად იწვევს ადამიანთა უფლებებისა და კანონიერების სხვა დარღვევებს.

არადამაკმაყოფილებლად სრულდება სახელმწიფო მეთაურის 1994 წლის 17 ნოემბრის ბრძანებულება, საპატიმრო ადგილებში შექმნილი მდგომარეობის გაუმჯობესებასთან დაკავშირებით. ქაღალდზე დარჩა რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1995 წლის 15 აპრილის დადგენილება „სასჯელთა აღმასრულებელი დაწესებულებების მატერიალური, ტექნიკური, საყოფაცხოვრებო და ფინანსური უზრუნველყოფის შესახებ". ვიმედოვნებთ, რომ მიუხედავად სიძნელეებისა, ახალი მთავრობა ცდას არ დააკლებს საპატიმრო ადგილებში მყოფ ადამიანებზე ზრუნვას.

ჯერ კიდევ დიდია ციხეებში იმ პატიმართა რიცხვი, რომლებიც თვეობით და ზოგჯერ წლობითაც კი ელოდებიან საქმის სასამართლო განხილვას. აღნიშნულის თაობაზე პროკურატურა სისტემატურად აწვდის ინფორმაციას შესაბამის ორგანოებს საქმეთა განხილვის დასაჩქარებლად, მაგრამ, სამწუხაროდ, მდგომარეობა ნელა სწორდება, რაც იწვევს პატიმართა საფუძვლიან უკმაყოფილებას, განსაკუთრებით ციხეების უსაფუძვლოდ გადატვირთვას და ისედაც მძიმე საყოფაცხოვრებო პირობების გაუარესებას. გვხვდება კურიოზებიც: მაგალითად, ზუგდიდის საგამოძიებო იზოლატორში მოთავსებული ლია ქადუა გასული წლის ივნისიდან ელოდება სასამართლო პროცესს, მაგრამ ლენტეხის სასამართლომ დღემდე ვერ მოაბა თავი ამ საქმეს. ამასობაში კი განსასჯელმა იმშობიარა და ახალი პრობლემები შეუქმნა ადმინისტრაციას, ხოლო თბილისის საგამოძიებო იზოლატორში სასამართლოს მოლოდინში ამ რამდენიმე დღის წინათ გარდაიცვალა განსასჯელი ყანჩაშვილი, რომელიც გასული წლის მაისიდან ერიცხებოდა ლაგოდეხის სასამართლოს. ჩვენ გვქონდა იუსტიციის მინისტრთან ამაზე საუბარი და დარწმუნებული ვართ, რომ ქმედითი ზომები იქნება მიღებული.

ბატონებო! ამ სამწუხარო მაგალითებს გვინდა მივაქციოთ იმ სასამართლოების ყურადღება, სადაც უსაფუძვლოდ ჭიანურდება საქმეთა განხილვა. ჩვენი მონაცემებით, ერთ წელზე მეტია, განსახილველია საქმეები 20-ზე მეტი პირის მიმართ. აღარაფერს ვამბობთ უფრო ნაკლები ვადით დარღვევებზე.

იუსტიციის მინისტრს ბატონ თედო ნინიძეს მინდა ვთხოვო, რომ თუ ეს მისაღებია, იქნებ, ჩაგვეტარებინა ერთობლივი კოლეგია სასამართლოებში საქმეთა განხილვის კანონით დადგენილი ვადების დარღვევებთან დაკავშირებით.

ბატონებო! საანგარიშო პერიოდში განსაკუთრებული ადგილი ჰქონდა დათმობილი კანონიერების დაცვას სხვადასხვა სფეროში. წინა პლანზე იყო წამოწეული ადამიანთა უფლებების დაცვა, რაშიც უნდა ითქვას, გარკვეული პროგრესი შეინიშნება, თუმცა ჯერ კიდევ შორსა ვართ სასურველისაგან.

თავის საპროგრამო გამოსვლაში საქართველოს პრეზიდენტმა, შეაფასა რა ქვეყნის განვლილი პერიოდი, მიუთითა, რომ სამი წლის წინათ, ფაქტობრივად არ გვყავდა არმია, პოლიცია, უშიშროების სამსახური, რის გამოც, ძარცვა-გლეჯის ქურდული კანონებით იყო შეცვლილი სახელმწიფო კანონები. სუფევდა ქაოსი და გაუგონარი კრიზისი. ვითარება დღეს დიამეტრულადაა შეცვლილი. პრეზიდენტის საპროგრამო დებულება, რომ „სახელმწიფოში დამყარდეს სანიმუშო წესრიგი და კანონიერება, სახელმწიფო დისციპლინა" თვითეული ჩვენგანის და განსაკუთრებით საპროკურორო დარგის მუშაკების საქმიანობის ქვაკუთხედად უნდა იქცეს.

სერიოზული პრეტენზიები გვაქვს მოქალაქეთა ბინების უსანქციო ჩხრეკასთან დაკავშირებით, რასაც მოკვლევისა თუ საგამოძიებო ორგანოები ატარებენ გადაუდებლობის მოტივით.

გვინდა, გავაფრთხილოთ ყველა, ვისაც ეს ეხება, თუ ამ მანკიერ პრაქტიკას ბოლო არ მოეღება, ჩვენ იძულებული ვიქნებით გამოვიყენოთ კანონი, მკაცრი ზომები გავატაროთ დამრღვევთა მიმართ.

საანგარიშო პერიოდში სისხლის სამართლის პასუხისგებაში მოქალაქეთა უსაფუძვლოდ მიცემის ფაქტებს ჰქონდა ადგილი რიგ ქალაქებსა და რაიონებში: ადიგენის, თიანეთის, მარტვილის, ჩხოროწყუს, სამტრედიის, ლაგოდეხის და სხვა პროკურატურებში.

რესპუბლიკის პროკურატურის კოლეგიამ, იმსჯელა რა აღნიშნულზე, მკაცრი ზომები გაატარა კანონის დამრღვევთა მიმართ, სამუშაოდან დავითხოვეთ არაერთი მუშაკი, ცალკეული პირების მიმართ გამოყენებულია სხვა დისციპლინური სახდელი.

როცა ადამიანის უფლებების დაცვაზე ვლაპარაკობთ, არ შეიძლება განსაკუთრებით არ შევჩერდეთ მოზარდებზე, რომელთა შორისაც სამართალდარღვევები კატასტროფულად იზრდება, ფაქტობრივი მდგომარეობა ასეთია: ყველა ის მექანიზმი და სისტემა, რაც კი საბჭოთა პერიოდთან იყო დაკავშირებული, მოშლილია, ახალი ჯერ არ შექმნილა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ არასრულწლოვანთა კომისიებს, რაც ძველის გამეორებაა და დღევანდელ პირობებში ნაკლებ ეფექტიანია. შს ორგანოების შესაბამისი სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას რეალური ზეგავლენა მოახდინოს ამ პროცესებზე, მუშაკთა უმრავლესობას ელემენტარული სამუშაო პირობებიც კი არ გააჩნიათ, რადგან გაუგებარი მიზეზებით გამო ერთ მშვენიერ დღეს მათი ოფისების უმრავლესობა პრივატიზებული აღმოჩნდა, უფრო მეტიც, ამ რამდენიმე დღის წინ სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროდან მივიღეთ წერილი, საიდანაც ირკვევა, რომ თურმე ავჭალის შრომა-აღმზრდელობითი კოლონია თავისი მიმდებარე ტერიტორიით იჯარით ყოფილა გაცემული 1991 წლიდან მრავალდარგოვან მცირე საწარმო „უნივერსალზე". მოიჯარე ითხოვს თავის საკუთრებას და პოზიციის გასამაგრებლად საჩივარს ურთავს უზენაესი საარბიტრაჟო სასამართლოს დადგენილებას, რომლითაც მისი მოთხოვნის კანონიერებაა დადასტურებული. ქონების მართვის სამინისტრო ითხოვს ჩვენს ჩარევას კანონიერების აღსადგენად.

კრიზისმა და ცხოვრების დონის გაუარესებამ ყველაზე მეტად ხელმოკლე ოჯახთა ბავშვებზე იმოქმედა: ბევრი მათგანი იძულებული გახდა ქუჩაში გამოსულიყო საკუთარი საზრდოს საშოვნელად თუ ოჯახის დასახმარებლად.

გახშირდა მათხოვრობა და მაწანწალობა. ფეხს იკიდებს პროსტიტუცია, გახშირდა ვენერიული სენით მოზარდების დაავადების შემთხვევები, გამრავლებას იწყებს გარყვნილების ბუნაგების მოწყობა, არის პროსტიტუციისათვის ბავშვების მეზობელ ქვეყნებში გაყვანის სამარცხვინო რეციდივები და სხვა.

შექმნილმა სიძნელეებმა გააბოროტეს ბავშვები, გახშირდა სისასტიკით ჩადენილ დანაშაულობათა შემთხვევები. შემაშფოთებელი ფაქტი მოხდა ფოთში: მცირეწლოვანმა დადიანმა და ნიკოლაძემ ზღვაში განზრახ დაახრჩვეს ასევე მცირეწლოვანი გიორგი გვალია, იმიტომ რომ ეს უკანასკნელი კარგად თამაშობდა ფეხბურთს.

არის განსაკუთრებული სისასტიკის სხვა დამაფიქრებელი შემთხვევებიც.

ერთი სიტყვით, იმისათვის, რომ არასრულწლოვან სამართალდამრღვევთა სახით დამნაშავეთა სამყარომ ახალი შევსება არ მიიღოს და დამნაშავეობა კიდევ უფრო არ გაახალგაზრდავდეს, ვფიქრობთ, უნდა გამოიძებნოს გზები ამ პრობლემის გადასაწყვეტად.

ბატონო პრეზიდენტო! თუ ეს შესაძლებელია, იქნებ თქვენი ბრძანებულებით შეიქმნას სპეციალური კომისია ახალგაზრდობის საქმეთა სახელმწიფო დეპარტამენტის განათლების, კულტურის, ფინანსთა, ჯანდაცვისა და შ ს სამინისტროს მონაწილეობით, რომლებიც წარმოგიდგენენ წინადადებებს მოზარდთა სამართალდარღვევების აღკვეთისა და თავიდან აცილების შესახებ, თავის მხრივ, პროკურატურა მზადაა აქტიურად ითანამშრომლოს ამ კომისიასთან.

მძიმე მდგომარეობაა ეკოლოგიაშიც. რესპუბლიკის ტყეებში გრძელდება მასობრივი ჩეხვა, რასაც მნიშვნელოვნად უწყობს ხელს სახერხების უკანონოდ ფუნქციონირება. სწორედ აქ ხდება დატაცებული ხე-ტყის დამუშავება ბიუჯეტთან ყოველგვარი ანგარიშსწორების გარეშე, იფლანგება დიდძალი ელექტროენერგია, ბინძურდება გარემო, ჯიბეს ისქელებენ ცალკეული მაფიოზური კლანები. ყველაფერი ეს ხდება ადგილობრივი სამართალდამცავი ორგანოების თვალწინ, ზოგჯერ ხელისუფალთა დასტურითაც კი.

არასრული მონაცემებით, რესპუბლიკაში დღეისათვის 800-ზე მეტი სახერხი მუშაობს უკანონოდ, სადაც მინიმუმ 15-20 ათას კუბურ მეტრ ხე-ტყეს ამუშავებენ. ამ მხრივ საგანგაშო მდგომარეობაა ახალციხეში, ადიგენში, ბორჯომში, მარტვილში, თიანეთში, ჭიათურაში, ჩოხატაურში, ლენტეხში, ცაგერში და სხვაგან.

მარტვილის რაიონში გამოვლინდა ორი ათას კუბ. მეტრზე მეტი უკანონოდ მოჭრილი ხე-ტყე. აქედან 200 კუბ. მეტრი წაბლია.

ჭიათურის ტყეებში ყრია 3 ათას კუბ. მეტრამდე უკანონოდ მოჭრილი წაბლის, მუხის და რცხილის მორები. ათობით ჰექტარზე პირწმინდადაა გაჩეხილი წაბლისა და მუხის კორომები. გამოთავისუფლებული მიწის ფართობები დატაცებულია.

განუკითხაობის ერთ-ერთი მიზეზი ისიც არის, რომ რესპუბლიკის მთავრობამ ვერ შესძლო სახერხების ფუნქციონირების შესახებ სწორი გადაწყვეტილების მიღება. მინისტრთა საბჭოს 1989 წლის 18 ივლისის № 349 დადგენილება დიდ ხანია მოძველდა და გასაუქმებელია. საჭიროა ახალი ნორმატიული აქტი, რომელიც ამ პრობლემებს მოაწესრიგებს.

სერიოზული დარღვევებია თევზის რეწვაშიც: გასულ წელს ფოთის მერიასთან შეიქმნა შტაბი, რომელსაც სხვა ფუნქციებთან ერთად დაევალა თევზჭერის რეგულირება და შესაბამისი ლიცენზიების გაცემა, რითაც აშკარადაა დარღვეული პარლამენტის სპეციალური დადგენილება, რომლის თანახმადაც ეს საკითხები გარემოსა და ბუნების დაცვის სამინისტროს კომპეტენციაა.

უფრო მეტიც, შტაბმა თვითონვე განსაზღვრა სალიცენზიო მოსაკრებლების ოდენობა, მიუხედავად იმისა, რომ ამის შესახებაც არსებობს მთავრობის შესაბამისი დადგენილება. მერე კი, გასული წლის 19 დეკემბერს გააფორმა სპეციალური ხელშეკრულება უცხოეთის სახელმწიფოს — უკრაინის სარეწ ორგანიზაციებთან, რომლის თანახმადაც საქართველოს ტერიტორიულ წყლებში შემოდის 10 სარეწაო და ათი სატრანსპორტო გემი ქაფშიის დასაჭერად, ქაფშიას ზუთხი და სხვა ძვირფასი თევზებიც მოჰყვება. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ ქაფშიის მარაგი ისედაც შემცირებულია რეწვის აკრძალული ზერხებით ე. წ. „პელაგიური ტრალებით" თევზჭერას, როგორც ამას სტუმრები აკეთებენ, რასაც შეიძლება გამოუსწორებელი შედეგი მოჰყვეს საქართველოს შავიზღვისპირეთის იქთიოფაუნისათვის. ამ საკითხების შემოწმება გრძელდება და განხორციელდება შესაბამისი საპროკურორო რეაგირება.

სამწუხაროდ, უნდა ითქვას, რომ რესპუბლიკური კანონმდებლობის იგნორირება მარტო ფოთის მერიისათვის როდია დამახასიათებელი. ამის რეციდივები სხვაგანაც შეინიშნება. თუ ეს ტენდენცია ძირშივე არ იქნა აღკვეთილი, ქვეყანა სამართლებრივ ქაოსში ჩაიძირება. ამიტომ მე ვთხოვ პროკურორებს გამოიჩინონ ადგილებზე მეტი პრინციპულობა და უზრუნველყონ კონსტიტუციის მოთხოვნათა განუხრელი დაცვა.

ბატონო პრეზიდენტო! უნდა მოგახსენოთ, რომ თქვენი ბრძანების თანახმად თბომავალ „მემედ აბაშიძის" კატასტროფასთან დაკავშირებით პროკურატურამ დაამთავრა შემოწმება საქართველოს საზღვაო-სანაოსნო დეპარტამენტში. კომისიის დასკვნა მზად არის და წარმოგიდგენთ. ამ დოკუმენტის მიხედვით სერიოზული დარღვევებია გამოვლენილი, რაც სათანადო მსჯელობას საჭიროებს.

ჯართის თემამ აქაც იჩინა თავი. აღმოჩნდა, რომ საქართველოს მთავრობის 1994 წლის 14 მარტის განკარგულებით ჩამოიწერა და თურქულ ფირმებზე ჯართის სახით გაიყიდა „ფოთი-თევზის" სამი ტრალერი. ერთი ტონა ჯართი შეფასებული იქნა 2-ჯერ ნაკლებად, ვიდრე ეს მსოფლიოს ბაზარზე იყო. გემებთან ერთად ჯართის სახით გაიყიდა ზედ არსებული თანამედროვე აპარატურა და ფერადი ლითონების შემცველი ძვირფასი სისტემები.

ლიცენზია გემების ჯართად გატანაზე გაცემულია საგარეო-ეკონომიკურ ურთიერთობათა კომიტეტის ფოთის ადგილობრივი სამმართველოს მიერ, რაც კანონის აშკარად უხეში დარღვევაა. არის სხვა სერიოზული ფაქტებიც.

ბატონო პრეზიდენტო! საქართველოს პროკურატურა მრწამსით და სიყვარულით ემსახურება თავის სამშობლოს და ეროვნულ სახელმწიფოს. ჩვენი კოლექტივის ჯანსაღი ნაწილი ყოველთვის იქ იყო, სადაც სახელმწიფოს ყველაზე მეტად უჭირდა, არცერთ კრიზისულ მომენტში უკან არასოდეს არ დაგვიხევია და არც დავიხევთ იმიტომ, რომ ჩვენთვის ყველაზე მაღალი იდეალი სახელმწიფო ინტერესებია. იმ სახელმწიფოსი, რომელიც ხალხის, სიმშვიდის, უსაფრთხოებისა და კეთილდღეობის გარანტად მიგვაჩნია თავი. ამიტომაც ბევრი საშიში და გავლენიანი მტერიც გავიჩინეთ. თუმცა ჩვენ მათი არ გვეშინია. ეს ის ძალებია, რომლებსაც გასაგები მიზეზების გამო ძილს უფრთხობს ქვეყანაში თქვენი ხელმძღვანელობითა და ხალხის საყოველთაო მხარდაჭერით დამყარებული წესრიგი და კანონიერება. ისინი აგონიაში არიან და ყველა ღონეს ხმარობენ, რათა დაიჩოქონ პროკურატურა და ძირი გამოუთხარონ ახლად ფეხადგმულ სახელმწიფოს, მაგრამ ვერ ეღირსებიან. მათი ეს მცდელობა ფუჭია და დასაღუპად არის განწირული.

ჩვენ კი აღვითქვამთ, რომ კვლავაც ყველაფერს ვიღონებთ, და თავს არ დავზოგავთ, რათა საქართველოში იზეიმოს ზნეობამ, წესრიგმა და სამართლიანობამ. კვლავაც ძველებური შემართებით ვიდგებით პრეზიდენტის, პარლამენტისა და მთავრობის გვერდით, თქვენი საპროგრამო ამოცანების განსახორციელებლად.

ეყრება საფუძველი ქვეყნის ეკონომიკურ აღორძინებას

(დასასრული)

ნიკო ლეკიშვილმაც. შეეხო რა სტრუქტურულ გარდაქმნებს აღმასრულებელი ხელისუფლების უმაღლეს ეშელონებში, მან აღნიშნა, რომ ყოველ კონკრეტულ დარგში, მთლიანად ქვეყანაში საქმის ვითარებისათვის უდიდესი პასუხისმგებლობა ეკისრებათ როგორც სამინისტროებსა და უწყებებს, ისე ადგილობრივი მართვის ორგანოებსაც, რომლებმაც უნდა უზრუნველყონ დისციპლინა და წესრიგი სამეურნეო კომპლექსის ყველა რგოლში, რესპუბლიკის ცხოვრების ყველა სფეროში, სრულად გამოიყენონ მათთვის მინიჭებული თვითმმართველობის უფლება.

სხდომაზე გამოვიდა საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე. მან ყურადღება მიაპყრო სახელმწიფო აღრიცხვისა და ანგარიშგების სისტემების დიდ მნიშვნელობას, რომაც ხელი უნდა შეუწყოს კონტროლის დამყარებასა და, შესაბამისად, სათანადო წესრიგს ეკონომიკის ყველა რგოლში. პრეზიდენტმა განაცხადა, რომ ქვეყანა თანდათანობით შედის ნორმალური ცხოვრების ფაზაში, რასაც მოწმობს ეკონომიკის გამოცოცხლების ნიშნები. ეს კი შესაძლებლობას იძლევა უკვე თანასწორ დონეზე წარვმართოთ დიალოგი საზღვარგარეთელ პარტნიორებთან, როგორც პრეზიდენტმა თქვა, 1995 წელს გავიარეთ აღორძინების დაწყების სკოლა, ეს იყო ყველა სფეროში — ეკონომიკა, ფინანსები — შემობრუნების წელი, შეიქმნა იმის წანამძღვრები, რომ მიმდინარე წლის ბიუჯეტი იყოს რეალური, საქართველოს ისტორიაში პირველად ფორმირდება ბიუჯეტი, რომელიც ჩამოყალიბებულია ერთობლივი ძალებით, როგორც ცენტრში, ისე ადგილებზე ხელისუფლების პრაქტიკულად ყველა რგოლის მონაწილეობით, საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის რეკომენდაციათა გათვალისწინებით. იგი საშუალებას მოგვცემს მაქსიმალურად გამოვიყენოთ ქვეყნის პოტენციალი. რათა ასევე მაქსიმალურად გავითვალისწინოთ მასში მოსახლეობის ყველა ფენის ინტერესები.

პრეზიდენტმა დადებითად შეაფასა რესპუბლიკაში მიმდინარე ექსპერიმენტები, აღნიშნა, რომ ხელმძღვანელებმა ადგილებზე შეძლეს თითქმის შეუძლებელი — შეასრულეს გასული წლის ბიუჯეტის საკონტროლო დავალებანი. ახლა, თქვა მან, ძალზე მნიშვნელოვანია ერთიორად, ერთისამად გავზარდოთ ჩვენი ძალისხმევა, რათა განვახორციელოთ მიმდინარე წლისათვის დასახული პროგრამა.

ედუარდ შევარდნაძე არ დაეთანხმა სხდომაზე გამოთქმულ აზრს იმის თაობაზე, რომ ამჟამად ქვეყანაში უმუშევართა რიცხვი მილიონს აღწევს. პრივატიზაციის შემდეგ ხომ მრავალი ადამიანი გახდა საკუთრების მფლობელი და ახლა მეწარმეობით არის დასაქმებული. დაახლოებით 950 ათასი ოჯახი სოფლად ფლობს მიწას, ქალაქელთა კიდევ 350 ათას ოჯახს აქვს მიწის ნაკვეთები. ჩვენ მზად ვართ, მიწის ნაკვეთებით უზრუნველვყოთ საქართველოს ყველა მოქალაქე, თქვა პრეზიდენტმა, რაც საშუალებას მოგვცემს თავიდან ავიცილოთ მასობრივი უმუშევრობა იმ პერიოდში, სანამ ჯერ კიდევ სასურველ დონეზე არ ამოქმედებულა წარმოება.

საბაზრო ეკონომიკის ჩამოყალიბებასა და კერძო სექტორის განვითარებაზე საუბრისას პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ უკვე ახლა ზოგიერთ საწარმოში 60-120 ლარის ოდენობის ხელფასი ჩვეულებრივი მოვლენაა. პერსპექტივისათვის კი რეალური იქნება 200-300, შემდგომ კი 500 ლარიც, მაგრამ ამისათვის საჭიროა, ყველამ თავისი საქმე აკეთოს.

ქვეყნის ენერგოსისტემაში შექმნილი რთული მდგომარეობის უმთავრეს მიზეზად პრეზიდენტმა ცივილიზებულ სამყაროში მიღებული გადასახდელების კულტურის უქონლობა დაასახელა. განა ნორმალურია, ის, რომ რესპუბლიკაში ვაწარმოეთ 18 მილიარდი კილოვატსაათი ელექტროენერგია, „საქენერგოს" კი არა აქვს სამისო სახსრები, რომ ანგარიში გაუსწოროს პარტნიორებს, მისცეს ხელფასი თანამშრომლებს, თქვა მან. სხვათა შორის, ჩვენ ყოველთვის ვამბობთ, რომ ნიადაგ გვეხმარებიან საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციები, დონორი ქვეყნები, მაგრამ ეს დახმარება შეიძლება შეწყდეს, თუ არ დავამყარებთ წესრიგს გადასახდელების სისტემაში. ამიტომ, საჭიროა ყველაფერი დავუმორჩილოთ ამ ამოცანის გადაწყვეტას. უნდა გვახსოვდეს, რომ ამ ეტაპზე უცხოურ ინვესტიციათა გარეშე ქვეყანა ვერ იარსებებს. ინვესტიციები ითვალისწინებენ წარმოების ინტერნაციონალიზაციას და ამას არ უნდა შევუშინდეთ, რადგან ასეთი პროცესები მთელი დღევანდელი მსოფლიოსთვისაც არის დამახასიათებელი.

სწორედ უცხოურ ინვესტიციათა წყალობით ისახება კარგი პერსპექტივები საქართველოში არა მარტო ნავთობის, არამედ გაზის მოპოვების საქმეში. აქ შესაბამის სამუშაოებში ჩაებნენ საზღვარგარეთის სოლიდური კომპანიები. ყოველივე ეს გვინერგავს იმედს, რომ, შესაძლოა, უკვე მიმდინარე წლის დამლევისათვის რესპუბლიკას ჰქონდეს საკუთარი ბუნებრივი გაზი. სხვათა შორის, უცხოელ ინვესტორთა აქტიურობა მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია ქვეყანაში საიმედო საბანკო სისტემის არსებობაზე, აღნიშნა პრეზიდენტმა, და ძალისხმევა ამ მიმართულებით უნდა გააქტიურდეს.

საქართველოს, როგორც სატრანზიტო ქვეყნის პერსპექტივა მოითხოვს განსაკუთრებულ ყურადღებას [illegible] განვითარებისადმი, ბათუმისა და ფოთის საზღვაო ნავსადგურების რეკონსტრუქციით დაწყებული და ახალი კომუნიკაციების — საავტომობილო და რკინიგზების მშენებლობით დამთავრებული, რათა რესპუბლიკა მზად იყოს მის ტერიტორიაზე გამავალი ტვირთის დიდი ნაკადის მიღებისა და გადაზიდვისათვის. ამ საქმეში ძალზე მნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულონ აღმასრულებელი ხელისუფლების არა მარტო რესპუბლიკურმა ორგანოებმა, არამედ რეგიონალური და ადგილობრივი ადმინისტრაციების ხელმძღვანელებმაც. მათ მიეცათ მაქსიმალური დამოუკიდებლობა და მოთხოვნაც მათ მიმართ შესაბამისი იქნება. სწორედ ასე, ყველა დონეზე ერთიანი პასუხისმგებლობით შეიძლება მივაღწიოთ იმ მიზნებს, რომლებიც დღეს ორიენტირად აქვს დასახული საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოს.

საქინფორმ

სოციალური სფერო

შაბათ-კვირის ჩანაწერები

საქართველოს მთავრობის შაბათ-კვირის გაფართოებული სხდომების ოფიციალურ მასალებში მრავალი საპროგრამო აზრი დევს, მათ განხორციელებას უახლოეს მომავალში პრაქტიკული შედეგები უნდა მოჰყვეს. წინააღმდეგ შემთხვევაში ძველმოდურად, ჰაერში დარჩება სახელმწიფო მინისტრის, ბატონ ნიკო ლეკიშვილის სერიოზული გაფრთხილება — ჩვენი სამსახური, სახელმწიფო კანცელარია უმკაცრეს კონტროლს დაუწესებს პრეზიდენტისა და მთავრობის ყოველი ბრძანებულების, გადაწყვეტილების, მითითების განხორციელებას და მათი შეუსრულებლობის შემთხვევაში ნებისმიერ პასუხისმგებელ პირს დაუნდობლად დასჯისო.

ოღონდაც! ქვეყანა ქვეყანას დაემსგავსოს, კანონმა იკანონოს, სიტყვას საქმე მოჰყვეს, ხალხს იმედი მიეცეს.

არადა, დღევანდლამდე უიმედობას უფრო მეტი საფუძველი ჰქონდა, ვიდრე იმედს...

პური ძვირდება, ხარისხი?

მსოფლიო ბაზარზე ხორბლის ფასი გადიდდა, ამიტომაც იძულებულნი ვართ 15 თებერვლიდან საქართველოში კიდევ ერთხელ (ამჯერად 40 პროცენტით) პურის ფასი გავადიდოთო — ხაზგასმით თქვა თავის მოხსენებაში საქართველოს ეკონომიკის მინისტრმა ლადო პაპავამ. საქართველოს პრეზიდენტის მითითებით, პურის გაძვირების კამპანია რამდენიმე დღით გადაიდო, თორემ მთავრობიდან წინასწარ „გამოჟონილი" ინფორმაციით ეს პროცესი 1 თებერვლიდან უნდა დაწყებულიყო.

— ჯერ ხალხს (იგულისხმება საბიუჯეტო დაფინანსებაზე მყოფნი) საკომპენსაციო თანხა მივცეთ და პური მერე გავაძვიროთო — ბრძანებაა პრეზიდენტს.

საერთო გაჭირვების, მწირი (ჯერ კიდევ დაუმტკიცებელი) ბიუჯეტის მიუხედავად, გამოინახება სახსრები და 15 თებერვლამდე ყველა მიიღებს მინიმალური ხელფასის (პენსიის) შესაბამის რაოდენობას პურის საკომპენსაციოდ.

კეთილი და პატიოსანი, გაჭირვებას შეჩვეული და ყველაფრის ამტანი ჩვენი ხალხი ამასაც შეეგუება, რომ არა ერთი საყოველთაო გაუგებრობა:

პურის მრავალჯერადი გაძვირება რატომ არ მოქმედებს მისი ხარისხის გაუმჯობესებაზე?

ერთსა და იმავე პურის ქარხანაში ტალონზე გასაცემი, ზოგჯერ საკვებად უვარგისი პურის გვერდით, რატომ ცხვება ნორმალური ე. წ. კომერციული პური?

ვინ ახარისხებს ქარხნებში ფქვილსა და პურს „ღარიბთათვის" და „მდიდართათვის?"

ვინ დაისაჯა მკაცრად, საქვეყნოდ, პურის ცხობის ტექნოლოგიის დარღვევისათვის ან სტანდარტული წონის ლამის დაკანონებული დამჯინჯებისათვის?

ვინ აძლევს უფლებას ყველა მსურველს, სადაც უნდა და როგორც უნდა, პურის საცხობი გახსნას?

და საერთოდ, იანგარიშა ვინმემ რამდენ ადამიანს შეურყია ჯანმრთელობა უხარისხო, მაგრამ მაინც ადვილად გასასაღებელმა უპირველესმა პროდუქტმა?

საქართველოს მთავრობის შაბათ-კვირის სერიოზულ თათბირებზე საქართველოს პრეზიდენტმა რამდენჯერმე ბრძანა: რა სახელმწიფოა ის სახელმწიფო, რომელსაც ეს და ეს საკითხი ვერ გადაუწყვეტიაო!

მართლაც, — რა სახელმწიფოა ის სახელმწიფო, რომელიც პურის მრეწველობის სისტემაში გაბატონებულ ამ უმსგავსობას ვერ აღმოფხვრის?!

იქნებ, ჯერ კიდევ არ არის გვიან — ხორბლის შემომტანი ბიზნესმენები ხომ ოფიციალურად განთავისუფლებულნი არიან საბაჟო დაბეგვრისაგან... წესით, ნამუსიანი ბიზნესმენისათვის და პრინციპული სახელმწიფო სტრუქტურისათვის (პურ-პროდუქტების კორპორაციას ვგულისხმობთ) ამ შეღავათებს ხარისხის ამაღლება უნდა მოჰყვეს!

ბუნებრივი გაზი იაფად, ნავთი ძვირად!

დედაქალაქის მერმა ბადრი შოშიტაიშვილმა ერთი შთამბეჭდავი ინფორმაცია მიაწოდა თათბირის მონაწილეებს: თბილისის მოსახლეობის დიდი ნაწილი, ახლახან, საოცარი ენთუზიაზმით შეხვდა მერიის წინადადებას ბუნებრივი აირის ახალი წესით მიღება-აღრიცხვისა და გადასახადის დროულად გადახდის შესახებ. პირველხანებში მერია, დედაქალაქის ცალკეული უბნების მიხედვით, თვითონვე დაუყენებს მოსახლეობას, თითოეულ ოჯახს გაზის მრიცხველს, წინასწარ აიღებს ერთი ან ორი თვის დაახლოებით საფასურს და გადაუგზავნის მომწოდებელს. მერე და მერე ყველაფერი „აჟურში" ჩადგება და ყოველი ლარი და თეთრი მრიცხველის მიხედვით იანგარიშება!

მოსახლეობამ იმიტომაც მიიღო ეს წინადადება, რომ მერიის მტკიცებით, გადასახადი თითქმის იმის ნახევარი იქნება, რასაც გაწამებული მოსახლეობა დღეს თხევად გაზში ან ნავთში, ან კიდევ შეშაში იხდის. თანაც, თუ მაღალმა ღმერთმა გადმოგვხედა და ჩვენც ხელი გამოვიღეთ, წლის ბოლოსათვის თბილისის გარეუბანში (კახეთის მიმართულებით) შესაძლოა, ძალიან სერიოზულ ქართული გაზის საბადოსთან გვქონდეს საქმე.

რეალური სიტყვა ითქვა. იმედია, საქმეც რეალური მოჰყვება. ამ დღეებში ჩვენს მკითხველს უფრო ფართო ინფორმაციას მივაწვდით დედაქალაქის მერიის ამ საგულისხმო წამოწყებასთან დაკავშირებით.

ელექტროენერგიის საფასურად თუნდაც ორი ან სამი ლარი!

უკვე საყოველთაოდ ცნობილია ჩვენი ენერგეტიკული კრიზისი და მისი გამომწვევი უმთავრესი მიზეზი — **დაბარჯული ელექტროენერგიის საფასურის გადაუხდელობა.**

მთავრობის გაფართოებულ სხდომაზე, როგორც მოსალოდნელი იყო, ეს პრობლემა საკითხთა საკითხად იქცა.

— მთელს მსოფლიოში, ყველა განვითარებულ თუ განუვითარებელ ქვეყანაში ელექტროენერგიას უდიდესი მოწიწებით ეპყრობიან და „ხელის გულზე" ატარებენ — თქვა დარგის ხელმძღვანელმა დავით ზუბიტაშვილმა. ჩვენთან კი აბსოლუტურად პირიქით ხდება — ძარცვა-გლეჯა, უნიკალური დანადგარებისა და სადენების განადგურება, სპეციალისტების ლანძღვა-გინება, მუქარა, შანტაჟი...

პრეზიდენტის მითითებით, მან კიდევ ერთხელ გააცნო შეკრებილთ რომელ ქალაქსა და რაიონს, დიდ სამრეწველო საწარმოებს კონკრეტულად რამდენი მართებთ საქენერგოსი. ეს ცხრილი ამ ორიოდე კვირის წინ, პრეზიდენტის კომენტარით, ჩვენმა გაზეთმაც გამოაქვეყნა. საბოლოო შეფასება ერთმნიშვნელოვანი და მკაცრი იყო: **თბილსრესისათვის მოწოდებული გაზის საფასური (დავალიანების დაახლოებით 10 პროცენტი), სახელმწიფო მინისტრის წინადადებით ამ დღეებში დაიფარება ბიუჯეტიდან, რაიონებისა და ქალაქების ხელმძღვანელები კი, უმოკლეს დროში თუ მთლიანად არ შეცვლიან ენერგოკრიზისის პრობლემისადმი დამოკიდებულებას, უმკაცრესად დაისჯებიან.**

რაც შეეხება მოსახლეობას, პრეზიდენტმა ასეთი წინადადებაც კი წამოაყენა: პირველ ეტაპზე, იქნებ, ენერგიის საფასურის კიდევ გაიაფებაზეც გვეფიქრა ან ყოველ ოჯახს თუნდაც ორი ან სამი ლარი მაინც გადავახდევინოთო!

საოცრად ჰუმანური წინადადებაა!

საქართველოში დღეს დაახლოებით 1,3 მილიონამდე ოჯახია. შესაძლებლობის მიხედვით აბსოლუტურმა უმრავლესობამ რომ მინიმალური თანხა გადაიხადოს, თვიდან თვემდე სოლიდური ვალუტა შეგროვდება და დარგიც გადარჩება! **წინააღმდეგ შემთხვევაში, ელექტროენერგია საერთოდ არ გვექნება და ცხოვრება კიდევ უფრო გაგვიძვირდება, კიდევ უფრო დაგვიმძიმდება!**

საქენერგო ახლა ამუშავებს მოსახლეობიდან ამ მინიმალური თანხის აკრეფის მექანიზმს, რომელსაც მალე გავაცნობთ ჩვენს მკითხველს.

კიდევ ერთხელ მივაქციოთ ყურადღება: გაჭირვებით, მაგრამ მაინც ხომ ვიხდით ფულს ნავთში, თხევად აირში, შეშაში, — ამის ნახევარი რომ დროულად გადავიხადოთ სახელმწიფოს სასარგებლოდ, ხუფთა ბუნებრივი აირიც გვექნება და ნანატრი ელექტროენერგიაც...

სპარტაკ ქოგულია.

განსჯა

გახდება თუ არა საკონსტიტუციო სასამართლო მესამე ხელისუფლება?

საქართველოს ახალი კონსტიტუციით ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოებში კანონიერების უზრუნველყოფის სახელმწიფო სისტემას ახალი დიდმნიშვნელოვანი რგოლი შეემატა. ეს არის საკონსტიტუციო სასამართლო, რომელსაც დასავლეთში მესამე ხელისუფლებას უწოდებენ.

სასამართლო ხელისუფლების სისტემაში კონსტიტუციური მართლმსაჯულების ასეთი ორგანოების საქმიანობა კარგად არის ცნობილი მსოფლიოს წამყვანი ცივილიზებული სახელმწიფოებისათვის. უმეტეს ქვეყნებში მათ სასამართლო ორგანოებად მიიჩნევენ. ამერიკის შეერთებულ შტატებში ამ ფუნქციას უზენაესი სასამართლო ასრულებს, ხოლო საფრანგეთში — საკონსტიტუციო საბჭო. სახელწოდებაში განსხვავების მიუხედავად, ეს ორგანოები ყველგან აღიარებულია კონსტიტუციური მართლმსაჯულების განმახორციელებელ უმაღლეს არბიტრად, რომელთა მეშვეობითაც წყდება ქვეყნის სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში წამოჭრილი დიდმნიშვნელოვანი პოლიტიკური თუ სამართლებრივი პრობლემები.

საქართველოს უძირითადესი კანონით განისაზღვრა საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება, მისი წევრის სამართლებრივი სტატუსი და ფუნქციების შინაარსი. რაც შეეხება ახალი ორგანოს საკონსტიტუციო სამართალწარმოებისა და ორგანიზაციული საქმიანობის სხვა საკითხებს, კონსტიტუციის გარდამავალ დებულებებში ჩაიწერა, რომ ამისათვის საჭიროა ახალი ორგანული კანონი, რომელიც პარლამენტმა 1996 წლის 1 თებერვლამდე უნდა მიიღოს.

საკონსტიტუციო სასამართლოს შემადგენლობა ცხრა წევრით არის განსაზღვრული. კონსტიტუციის თანახმად, მათგან სამს უშუალოდ დანიშნავს საქართველოს პრეზიდენტი, სამს — უზენაესი სასამართლო, ხოლო სამს თავისი სიით შემადგენლობის არანაკლებ სამი მეხუთედით აირჩევს საქართველოს პარლამენტი. სასამართლოს წევრი შეიძლება გახდეს უმაღლესი იურიდიული განათლების მქონე, 35 წლის ასაკს მიღწეული საქართველოს მოქალაქე. ბუნებრივია, რომ მისი შერჩევის, დანიშვნისა და არჩევის საკითხების გადაწყვეტისას მხედველობაში მიიღება კანდიდატზე საზოგადოებრივი აზრი, პოლიტიკურ ძალთა განლაგება პარლამენტში და მისი როგორც სპეციალისტის გამოცდილება. კონსტიტუცია კრძალავს ისეთი პირის საკონსტიტუციო სასამართლოს წევრობას, რომელსაც ადრე ეკავა ეს თანამდებობა. რაც შეეხება საკონსტიტუციო სასამართლოს წევრთა უფლებამოსილების ვადას, იგი ათი წლით განისაზღვრა.

საკონსტიტუციო სასამართლოს წევრთა დაკომპლექტების სხვადასხვა წესმა გავლენა არ უნდა მოახდინოს მათ სტატუსსა და უფლებამოსილებაზე. საკონსტიტუციო სასამართლოს წევრები მათზე დაკისრებული ფუნქციების შესრულებისას თანასწორი უფლებებით სარგებლობენ. ამას ისიც ადასტურებს, რომ აღნიშნული ორგანო თავისი არჩეული და დანიშნული წევრებიდან ხუთი წლის ვადით თვითონვე ირჩევს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარეს. კონსტიტუცია კრძალავს თავმჯდომარედ ერთი და იგივე პირის ხელმეორედ არჩევას.

საკონსტიტუციო სასამართლოს წევრთა შერჩევის ზემოაღნიშნული სისტემა საშუალებას იძლევა ამ ორგანოში თანაბრად იქნეს წარმოდგენილი, როგორც საკანონმდებლო, ისე პრეზიდენტისა და სასამართლო ხელისუფლების ინტერესები. ეს გამორიცხავს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრების ერთი რომელიმე თანამდებობის პირის ან ორგანოსადმი ანგარიშვალდებულებას, რაც მათ საშუალებას მისცემს სრულად განახორციელონ კონსტიტუციური მართლმსაჯულება.

დაკისრებული ფუნქციების მიხედვით საკონსტიტუციო სასამართლო არსებითად განსხვავდება მართლმსაჯულების მოქმედი ორგანოებისაგან. მას არა აქვს მეორე ინსტანცია და არ იცნობს მსაჯულთა ინსტიტუტს. მისი საქმიანობის პროცედურა მოწესრიგებულია არა მოქმედი სისხლისა და სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით, არამედ საქართველოს პარლამენტის მიერ სპეციალურად მიღებული ახალი ორგანული კანონის საფუძველზე, რომელიც ამჟამად მუშავდება. ვინაიდან საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარეს მისივე წევრები ირჩევენ, მისი უფლებები, ორგანიზაციული საკითხების გარდა, არ შეიძლება მნიშვნელოვნად აღემატებოდეს სასამართლოს სხვა წევრების უფლებამოსილებას. სადავო საკითხი სასამართლოს სხდომაზე გადაწყდება ხმათა უმრავლესობით. საკონსტიტუციო სასამართლოს მიღებული აქტი გადაწყვეტილების ფორმით გაფორმდება. მას შემდეგ, რაც სასამართლო მიიღებს გადაწყვეტილებას, მისი ყველა წევრი კოლექტიურად აგებს პასუხს მისი დაცვისა და გატარებისათვის. ახალი ორგანოს მაღალ ავტორიტეტსა და განსაკუთრებულ როლზე ის გარემოებაც მიუთითებს, რომ კონსტიტუციის 89-ე მუხლის ძალით საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არავის უფლება არა აქვს ჩაერიოს ამ გადაწყვეტილების მიღებაში. დემოკრატიული საპრეზიდენტო მმართველობის პირობებში საკონსტიტუციო სასამართლო სახელმწიფოს იმ მთავარ იურიდიულ საბაზისო მექანიზმად უნდა იქცეს, რომელმაც საკონსტიტუციო პოზიციებიდან ბიძგი უნდა მისცეს ხელისუფლების ყველა სტრუქტურების გამართულ მუშაობას. სასამართლოს საქმიანობაში უმთავრესია საქართველოს კონსტიტუციური კანონმდებლობის განუხრელი დაცვა და მის ბაზაზე ყველა არაკონსტიტუციურად ცნობილ ნორმატიულ აქტებზე კანონით განსაზღვრული რეაგირება. კონსტიტუციის ძალით არაკონსტიტუციურად გამოცხადებული სადაო ნორმატიული აქტი ან მისი ნაწილი კარგავს თავის იურიდიულ ძალას, რაც ამოქმედდება საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების გამოქვეყნების მომენტიდან. ასეთი აქტები არ შეიძლება ცხოვრებაში დამკვიდრდნენ.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ კანონმდებლის მიერ აღნიშნული სასამართლოს საქმიანობაც განსაზღვრულ ფარგლებშია ჩაყენებული. საკონსტიტუციო სასამართლოს თავისი ინიციატივით უფლება არა აქვს აღძრას საქმე და დაიწყოს მის კომპეტენციაში შემავალი დავების გადაწყვეტა. სასამართლოში საქმის აღძვრის უფლება აქვს საქართველოს პრეზიდენტს, პარლამენტის წევრთა არანაკლებ ერთ მეხუთედს, სასამართლოს, სახალხო დამცველს, აგრეთვე აფხაზეთისა და აჭარის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოების ხელმძღვანელ პირებს. საკონსტიტუციო სასამართლოში საქმის აღძვრის საფუძველი შეიძლება გახდეს მოქალაქის სარჩელი, თუ იგი არაკონსტიტუციურად მიიჩნევს სახელმწიფო ორგანოთა იმ ნორმატიულ აქტებს, რომლებიც კონსტიტუციით განსაზღვრულ მოქალაქეთა უძირითადეს უფლებებსა და თავისუფლებას ეხებიან. საკონსტიტუციო სასამართლოს უშუალოდ უფლება არა აქვს კორექტივები შეიტანოს მოქმედ კანონმდებლობაში და არ გააჩნია საკანონმდებლო ინიციატივის უფლება. მას, ძირითადად, ევალება გადაწყვიტოს, კონსტიტუციურია თუ არა ესა თუ ის სადავო აქტი, შეესაბამება თუ არა იგი მოქალაქეთა კონსტიტუციურ უფლებებსა და თავისუფლებებს, შემდეგ კი იწყება განსაზღვრული კანონშემოქმედებითი საქმიანობა, რომლის პროცესშიც სწორდება კონსტიტუციური სასამართლოს აღმოჩენილი დარღვევები.

რაც შეეხება კონკრეტულ უფლებამოსილებებს, საკონსტიტუციო სასამართლოს უფლება აქვს მიიღოს გადაწყვეტილებები ისეთ საკითხებზე, რომლებიც ეხება პარლამენტის მიღებული კანონების, პრეზიდენტის ბრძანებულებების, აგრეთვე აფხაზეთის და აჭარის ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების ნორმატიული აქტების საქართველოს კონსტიტუციასთან შესაბამისობას. ეს შეიძლება იყოს როგორც ავტონომიური რესპუბლიკების კონსტიტუციები, ისე მოქალაქეთა უფლებებისა და სახელმწიფოებრივი მოწყობის საკითხებზე მიღებული სხვადასხვა აქტები.

კონსტიტუციური სასამართლოს უფლებამოსილებაში შედის აგრეთვე სახელმწიფო ორგანოებს შორის კომპეტენციის თაობაზე წარმოშობილი დავების გადაწყვეტა. აქ იგულისხმება როგორც ხელისუფლების, ისე აღმასრულებელ სტრუქტურაში შემავალი სამინისტროების, სახელმწიფო დეპარტამენტების, სახელმწიფო ინსპექციების და სახელმწიფო მმართველობის სხვა სტრუქტურებს შორის წარმოშობილი დავები კომპეტენციათა თაობაზე. მათ ვერ ავცდებით საქართველოს 1995 წლის 8 დეკემბრის კანონით გათვალისწინებული აღმასრულებელი ხელისუფლების ახალი სტრუქტურების დახვეწის პროცესში, რომლის მართვის მექანიზმი ამჟამად ჩამოყალიბების პროცესშია.

კონსტიტუცია აღნიშნულ სასამართლოს უფლებას აძლევს განიხილოს მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შექმნისა და საქმიანობის კონსტიტუციურობის საკითხები. მოქმედი პრაქტიკიდან გამომდინარე, ერთმანეთისაგან კანონმდებლობით გასამიჯნი იქნება საკონსტიტუციო სასამართლოსა და საქართველოს უზენაესი სასამართლოს ზოგიერთი უფლებამოსილება, რაც საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილე პოლიტიკური პარტიების რეგისტრაციის თაობაზე წარმოშობილი დავების განხილვასთან არის დაკავშირებული.

საკონსტიტუციო სასამართლოს ფუნქციებში შედის იმ დავების განხილვაც, რაც დაკავშირებულია რეფერენდუმებისა და არჩევნების კონსტიტუციურობის შემოწმებასთან. პოლიტიკური სინამდვილის ლოგიკამ კანონმდებელი აიძულა აღნიშნული ხასიათის დავების გადაწყვეტა კონსტიტუციური სასამართლოსათვის გადაეცა. რეფერენდუმის, როგორც ხალხის უშუალო დემოკრატიის იურიდიული ბუნება იმით გამოიხატება, რომ მასზე გამოტანილი ესა თუ ის კანონი ან საკითხი თავის იურიდიულ ძალას მაშინ შეიძენს, თუ იგი დადასტურებული იქნება საერთო და სახალხო ხმის მიცემით. რეფერენდუმის გარდა საკონსტიტუციო სასამართლოს უფლება უნდა ჰქონდეს განიხილოს დავები, რაც წარმოიშვება ამომრჩეველთა საკანონმდებლო ინიციატივის გამოყენების თაობაზეც. საქართველოს კონსტიტუციის 102-ე მუხლის თანახმად მოქალაქეების განსაზღვრულ ჯგუფს, კერძოდ 200000 ამომრჩეველს, უფლება აქვს მოითხოვოს სახელმწიფოს ძირითადი კანონის გადასინჯვა და თვითონვე წარმოადგინოს პარლამენტში მოქმედი კონსტიტუციის შეცვლის ან გადასინჯვის პროექტი. დავას, რომელიც ამ საკითხთან დაკავშირებით წარმოიშვება, უნდა წყვეტდეს საკონსტიტუციო სასამართლო.

აღნიშნული სასამართლოს ქვემდებარეა, აგრეთვე საკანონმდებლო და საპრეზიდენტო ხელისუფლების მიერ დადებული საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების კონსტიტუციურობის თაობაზე შემოსული დავები. კანონით საერთაშორისო ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს დებს საქართველოს პრეზიდენტი, ხოლო პარლამენტი ახდენს მათ რატიფიცირებას, დენონსირებას ან გაუქმებას. კონსტიტუცია აკრძალავს საკონსტიტუციო სასამართლოში სარჩელის ან წარდგინების შეტანის შემთხვევაში შესაბამისი ხელშეკრულების ან შეთანხმების რატიფიცირებას საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების გამოტანამდე.

საქართველოს კონსტიტუციის 89-ე მუხლით სასამართლოს დაევალა მოქალაქეთა სარჩელების მიღება სახელმწიფო ორგანოთა იმ აქტების ქვეყნის ძირითად კანონთან შეუსაბამობის შესახებ, რომლებიც, მომჩივანთა აზრით, მათ დაკანონებულ ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს ეწინააღმდეგებიან. არსებითად აქ საქმე გვაქვს სახელმწიფოსა და პიროვნების კონფლიქტური სიტუაციების მოწესრიგებაში საკონსტიტუციო სასამართლოს ჩარევასთან, რაც ამ ორგანოს მოსახლეობასთან აახლოვებს. ამით ხაზი აქვს გასმული იმ გარემოებასაც, რომ კონსტიტუციური სასამართლო წარმოადგენს ადმინისტრაციული ბიუროკრატიის წინააღმდეგ მებრძოლ სტრუქტურას, რომელიც ფხიზლად დგას მოქალაქეთა კონსტიტუციური უფლებების სადარაჯოზე.

სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობის პროცესში აღნიშნული სასამართლოს შექმნა და მისი კონსტიტუციური დამკვიდრება იმის უტყუარი დასტურია, რომ დამოუკიდებლობის გზაზე მდგარი საქართველო თანდათან შედის მსოფლიო ცივილიზებული ქვეყნების თანამეგობრობაში. უახლოეს მომავალში საკონსტიტუციო სასამართლოს მოუწევს გადალახოს ჩვენს სახელმწიფო მშენებლობის პრაქტიკაში შემორჩენილი ბიუროკრატიზმი, დოგმატურობა და არაკომპეტენტურობა, რაც წინ ეღობება ეკონომიკურ რეფორმებს.

თავისი ანალიზური მუშაობით მის მიღებულ გადაწყვეტილებებს სახელმწიფოს ყველა სტრუქტურისათვის ექნება არა მარტო პრაქტიკული, არამედ დიდი პოლიტიკური მნიშვნელობაც.

დემოკრატიის და სამართლებრივი რეჟიმის დამკვიდრების პროცესში საკონსტიტუციო სასამართლო ხელისუფლების სტრუქტურებიდან უნდა იქცეს იმ რეალურ ძალად, რომელმაც კანონის უზენაესობის დამკვიდრებასთან ერთად, უნდა უზრუნველყოს ადამიანის ფუნდამენტური უფლებებისა და თავისუფლებების განუხრელი შესრულება.

ალბერტ აბესაძე,
იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი.

კვირიდან კვირამდე

მგელს სახარების კითხვით ვერაფერს შეაგონებ!

თბილისში სტუმრობის დროს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ვიცე-კანცლერმა და საგარეო საქმეთა ფედერალურმა მინისტრმა კლაუს კინკელმა გერმანელი ტყვეების სასაფლაოც მოინახულა საბურთალოზე, აირმის ქუჩის მიდამოებში.

მე მახსოვს ჩამომხმარი, გაუვითლებული ტყვეები როგორ ცვლიდნენ სახმელზე თავიანთ ნახელავ ალუმინის ქვაბებს და სათამაშოებს და ისიც, რომ მოსახლეობა მათ გაბოროტებით არ ექცეოდა, თუმცა ბევრს სწორედ გერმანელებთან ომმა წაართვა ქმარი, ძმა თუ მამა.

გერმანელი მაშინ ჩვენთვის, იმდროინდელი ბავშვებისთვის, საფრთხობელა იყო.

ამას გვიჭედდნენ თავში წიგნებით, კინოფილმებით...

მაშინდელმა ბავშვებმა არ ვიცოდით, რომ გერმანიასთან საქართველოს მრავალი ძაფი აკავშირებდა, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, გერმანია იყო 1918-21 წლების დემოკრატიული რესპუბლიკის დიდი მეგობარი და შემწე.

„ჩვენ, გერმანელები, თქვენს გვერდით ვართ, თქვენ შეგიძლიათ ჩვენს მეგობრობას დაეყრდნოთ" — განაცხადა ოფიციალურ სადილზე ბატონმა კლაუს კინკელმა და სადღეგრძელო ქართული ტრადიციისამებრ დაასრულა, „ასე მტერი დაგვეცალოთო".

არ შეანელოთ რეფორმები, დაანახეთ ყველას, რომ ქართული მოდელი არსებობს და მოქმედებსო, გვირჩია საქართველოს პარლამენტის ტრიბუნიდან და შემდეგ ხაზი გაუსვა: — დაცული უნდა იქნეს საქართველოს სუვერენიტეტი და მისი ტერიტორიული მთლიანობა საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ აღიარებულ ფარგლებში. ყველამ, ვინც დამოუკიდებელ აფხაზეთზე ან სამხრეთ ოსეთზე ოცნებობს, უნდა გააცნობიეროს ამ ნატვრის არარეალურობა.

გერმანიის დელეგაციის ვიზიტი ბატონ კინკელის ხელმძღვანელობით არ იყო ჩვეულებრივი, რიგითი დიპლომატიური ღონისძიება.

ძლიერი, საიმედო მეგობრის სტუმრობა იყო.

ღმერთმა ხომ იცის, როგორ აჭირდება დღეს საქართველოს ასეთი მეგობრები!

ამ სტუმრობას დიდი პრაქტიკული შედეგებიც ექნება ეკონომიკისა და კულტურის თვალსაზრისითაც. ბატონ კინკელთან ერთად ჩამოსული ბუნდესტაგის წევრები, გერმანიის საქმიანი წრეების წარმომადგენლები, კულტურისა და განათლების მოღვაწენი შეხვდნენ ქართველ კოლეგებს და განიხილეს საქმიანი თანამშრომლობის პერსპექტივები.

გასული კვირა, საერთოდ, ერთობ დატვირთული იყო საქმიანი ვიზიტებით.

გვესტუმრა გაეროს მსოფლიო სასურსათო პროგრამის აღმასრულებელი დირექტორი ქალბატონი კატერინ ბერტინი. ამ ორგანიზაციის მიერ განხორციელებული დახმარება დიდად წაადგა საქართველოს. ქალბატონი ბერტინი ეწვია ბათუმს, ქუთაისს, მონაწილეობდა ნატანებში რკინიგზის ხიდის გახსნის საზეიმო ცერემონიაში.

ჯერ კიდევ არ მიმცხრალა 19 იანვარს მოსკოვში გამართულ თანამეგობრობის წევრი სახელმწიფოების მეთაურთა შეხვედრაზე მიღებულ გადაწყვეტილებათა ექო, რომელიც აფხაზ სეპარატისტთა პოლიტიკურ და ეკონომიკურ იზოლაციას ითვალისწინებს, რომ საერთაშორისო საზოგადოებრიობა აფხაზეთში აგრესიული სეპარატიზმის კიდევ ერთი ახალი პროვოკაციული აქტის მოწმე გახდა: როგორც ოფიციალურად გამოაცხადეს, „აფხაზეთის პარლამენტს" მიზანშეწონილად მიაჩნია გამართოს არჩევნები 1996 წლის შემოდგომაზე, 5 წლით არჩეული აფხაზეთის ახლანდელი უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა უფლებამოსილების ვადის გასვლამდე. ამასთან, არჩევნებში მონაწილეობას მიიღებენ „მხოლოდ არჩევნების დღისთვის რესპუბლიკის ტერიტორიაზე მცხოვრები მხოლოდ მისი მოქალაქენი".

აფხაზეთის მომავალს, მის სტატუსს აფხაზეთის ხალხი გადაწყვეტს!

მარტოოდენ „არჩევნების დღისთვის რესპუბლიკის ტერიტორიაზე მცხოვრები მხოლოდ მისი მოქალაქენი" აფხაზეთის ხალხი არ არის!

ეს ახალი გამოწვევა, ალბათ, ადეკვატურ ღონისძიებებს მოითხოვს, ყოველ შემთხვევაში, ცხადი ხდება, რომ მოსკოვში მიღებული გადაწყვეტილებების რეალური ხორცშესხმა უნდა დაჩქარდეს და, რაც მთავარია, მთელი ძალით ამოქმედდეს.

მგელს სახარების კითხვით ვერაფერს შეაგონებ!

ალეკო ასლანიშვილი.

სარედაქციო ფოსტიდან

მეგობართა დახმარებით

ქალაქ თბილისის ქუჩების, პარკების თუ სკვერების დღევანდელი მდგომარეობა არცთუ ისე სახარბიელოა. ერთ დროს სუფთა და დაგვილი ქუჩები, დღეს კარგად ვერ გამოიყურება. სწორედ ქალაქის ამ პრობლემის მოგვარებისათვის ზრუნავს ქ. თბილისის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „თბილკოტექმრეწვი".

ეს საზოგადოება 1994 წლის 1 აგვისტოს დაარსდა. ამ დღიდან ფირმამ დიდი სარგებლობა მოუტანა ქალაქს, რაშიც მას დახმარებას უწევს გერმანიის ქ. ზაარბრიუკენის სანაგვე მეურნეობა, რომელთანაც ხელშეკრულება აქვს დადებული.

ქ. ზაარბრიუკენის მხარემ იკისრა დაეხმაროს თბილისელებს ნაგავმზიდი მანქანების და მათი ნაწილების იაფად შეძენაში, ნაგვის შესაგროვებლად ნახმარი კონტეინერების მოწოდებაში, ტექნიკური სახელოსნოს, წარმოების ფინანსური საქმიანობის პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებაში, კერძო კაპიტალის გამოყენებაში. ასევე ზაარბრიუკენის სანაგვე მეურნეობა „თბილკოტექმრეწვს" ჰპირდება 2 ნაგავმზიდი და 2 საგველი მანქანის მოწოდებას.

დღესდღეისობით კი „თბილკოტექმრეწვი" ემსახურება ქ. თბილისის ვაკის, კრწანისისა და მთაწმინდის რაიონებს. ერთი სიტყვით, ყველაფერი კეთდება იმისათვის, რომ სამივე რაიონში იყოს სისუფთავე, წესრიგი, ნაკლები დანახარჯები.

უთუოდ მოსაწონია ფირმა „თბილკოტექმრეწვის" სამომავლო გეგმები, რომელსაც განზრახული აქვს ამერიკის ფირმასთან თანამშრომლობით განახორციელოს ნაგავსაყრელზე წარმოქმნილი ზედაპირული აირის ელექტროენერგიად გარდაქმნა, რაც დიდ მოგებას მოუტანს ქალაქს და გააუმჯობესებს მოსახლეობის ელექტროენერგიით უზრუნველყოფას. ზედაპირული აირის გამოყენება შეიძლება საწვავად გასათბობი და სავენტილაციო სისტემებისათვის, აგრეთვე გენერატორებისათვის ელექტროენერგიის საწარმოებლად.

აირის ასეთ შეგროვება-გამოყენებას ბევრი დადებითი მხარე აქვს. იგი გარემოს იცავს დაბინძურებისაგან და აგრეთვე ამცირებს მცენარეთა ვეგეტაციის დამაბრკოლებელ მიზეზებს. სუფთავდება ჰაერი, და რაც მთავარია, ხდება შედარებით იაფი ელექტროენერგიის გამომუშავება.

ზედაპირული აირის გამოყენება ეკონომიურად გამართლებულია, ინვესტირება მოწყობილობაში შედარებით მაღალია — ერთიდან ერთნახევარ მილიონ დოლარამდე, სამაგიეროდ, ამოგება სწრაფად ხდება.

იმედია, უახლოეს მომავალში „თბილკოტექმრეწვი" უცხოური ფირმების დახმარებით საქართველოსათვის ესოდენ მნიშვნელოვან პროგრამას განახორციელებს.

ნანა სვიმონია.

წერილების მქო

„რომელ მსაჯულს ვთხოვო სამართალი?!"

რედაქციას ეხმიანება თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარე ა. კალმახელიძე

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" ფურცლებზე გამოქვეყნებული სტატია „რომელ მსაჯულს ვთხოვო სამართალი!", განვიხილეთ.

ამ საქმესთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ ქ. თბილისში, ანაგის ქ. № 6-ში მდებარე № 50 ერთოთახიანი ბინა ირიცხება ეკატერინე ქურციკიძის სახელზე. აღნიშნულ ბინაში ჩაწერილი არიან თავად ეკატერინე ქურციკიძე და მისი შვილიშვილი ია ქურციკიძე.

სასამართლოს სარჩელით მიმართა ე. ქურციკიძემ მითითებული ბინის ფართობზე ი. ქურციკიძის უფლებადაკარგულად ცნობის მოთხოვნით, იმ საფუძველით, რომ ი. ქურციკიძე ამ ბინაში არ ცხოვრობს ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე და დაკარგული აქვს საცხოვრებელი ბინია ფართობით სარგებლობის უფლება.

ქ. თბილისის საბურთალოს რაიონის სასამართლოს 1995 წლის 26 ივლისის გადაწყვეტილებით სარჩელი არ იქნა დაკმაყოფილებული.

აღნიშნული გადაწყვეტილება უცვლელად იქნა დატოვებული თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1995 წლის 5 სექტემბრის განაჩენით.

სასამართლო დადგენილებები მოცემულ საქმეზე სწორია, რადგანაც საქმის მასალებით დადგენილია, რომ ია ქურციკიძე 1972 წელს შვილად აიყვანა მოსარჩელე ეკატერინე ქურციკიძემ და ამ პერიოდიდან იგი იზრდებოდა მის მშვილებელთან, ეკატერინე ქურციკიძესთან, უფრო მეტიც, ია ქურციკიძე შეყვანილია სადავო ბინის ორდერში და ჩაწერილია ამ ბინაში 1972 წლიდან.

მითითებულ ბინაში ე. ქურციკიძემ მაშინ, როდესაც ი. ქურციკიძე იყო 8 წლის, მიიყვანა არარეგისტრირებული მეუღლე და აიძულა შვილიშვილი, რომ საცხოვრებლად გადასულიყო მშობლებთან.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ მოპასუხე ვერც უკანასკნელი წლების განმავლობაში ვერ ცხოვრობდა მითითებულ ბინაში მოსარჩლის წინააღმდეგობის გამო.

ამრიგად, სასამართლო ორგანოების გადაწყვეტილებები მიგვაჩნია სამართლიანად, ხოლო ე. ქურციკიძის მოთხოვნა უკანონოდ.

ეს ჩვენი ვალია!

ორ წელიწადზე მეტია საქართველოს სხვადასხვა კუთხეში და მის ფარგლებს გარეთ მიმოფანტულან აფხაზეთიდან დევნილები. მძიმეა მათი ხვედრი. მათ შორის 50 პროცენტსაც არა აქვს ცხოვრების ნორმალური პირობები. ლტოლვილთა დიდი უმრავლესობა თბილისშია თავშეფარებული.

ამ წერილში გვინდა შევეხოთ ორ მტკივნეულ საკითხს:

პირველი: — აუცილებელია მასწავლებელთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება. დღეს ყველას უჭირს, ლტოლვილებსაც და ადგილობრივებსაც. ლუკმა პურის შოვნის თითქმის ერთადერთ გზად ვაჭრობა ქცეულა. გული გვიკვდება, როცა დახლთან პედაგოგებს ვხედავთ. მასწავლებელი, რომელიც გუშინ სულს აქსოვდა მოზარდი თაობის აღზრდას, დღეს ვაჭრობს, რათა თავი ირჩინოს.

ამას წინათ ქობულეთში, სანატორიუმ „ჩირაღდანში" მცხოვრები ლტოლვილი მასწავლებლები მოვინახულეთ. გული მოგვიკვდა, უკიდურეს პირობებში არიან — არა აქვთ საჭმელი, სინათლე, სითბო... ასეა მეტნაკლებად ყველგან.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების სამინისტროს აღრიცხვაზე 3000-მდე მასწავლებელი ჰყავს, რომლებიც მინისტრის ბატონ ჯანო ჯანელიძის ძალისხმევით შარშან შეუფერხებლად ღებულობდნენ ხელფასს, წლეულს კი, 1 იანვრიდან, მათ ხელფასის გაცემა შეუწყვიტეს. ხშირად გვესმის ზოგიერთი ხელმძღვანელისგან, არავინ არ ღებულობს შეუფერხებლად ხელფასს და მასწავლებელს რატომ უნდა მიეცესო. ჩვენ გვავიწყდება ერთი რამ: მასწავლებელი მომავალი თაობის აღმზრდელია, დავეხმაროთ მათ, რათა არ შეიცვალონ პროფესია.

დღეს, როცა თანდათან მწიფდება აფხაზეთში ლტოლვილთა დაბრუნების საკითხი, არ უნდა დაგვეკარგონ ლტოლვილი მასწავლებლები. ფიზიკურად და სულიერად განადგურებულები თუ დაუბრუნდნენ მშობლიურ კერას, ისინი ვერ იქნებიან მოწოდების სიმაღლეზე, ნუ გავწირავთ მათ, მივცეთ მასწავლებლებს ხელფასი და ამით ნაწილობრივ მაინც შევუმსუბუქოთ უმძიმესი ხვედრი.

მეორე, ასევე, ძალიან მტკივნეულ საკითხად გვესახება უდედმამო ბავშვებისათვის ინტერნატების გახსნა.

სამწუხაროდ, დღეს ჩვენს რესპუბლიკაში მომრავლდნენ მათხოვარი ბავშვები. ისინი მეტროსა თუ ქუჩებში ხელგაწვდილნი დგანან. არავინ არ ფიქრობს მათ სწავლა-განათლებაზე, ელემენტარულ საყოფაცხოვრებო პირობებზე. ეს ბავშვები დასაღუპავად არიან განწირული. არადა, შეიძლება მათი შველა. არ უნდა იყოს ძნელი 150-200-ადგილიანი ინტერნატის გახსნა, სადაც ლტოლვილთა შვილები მოთავსდებიან, რომლებსაც დახმარება ყველაზე მეტად სჭირდებათ.

ვითხოვთ ყურადღებას ყველასგან, ვისაც შეუძლია დაგვეხმაროს ამ საკითხების გადაჭრაში, ვიზრუნოთ ჩვენი მომავალი თაობის ღირსეულად აღზრდაზე!

ვლადიმერ ფირცხალაიშვილი,
ქ. სოხუმის № 8 საშუალო სკოლა-ინტერნატის დირექტორი, საქართველოს დამსახურებული მასწავლებელი;

შალვა ხუფენია,
ქ. სოხუმის № 8 საშუალო სკოლა-ინტერნატის დირექტორის მოადგილე, სახალხო განათლების წარჩინებული.

ინფორმაცია

ქარცვა გრძელდება!

მიუხედავად იმისა, რომ, რესპუბლიკაში ხელზეა სტაბილიზაციის პროცესი, კავშირგაბმულობის ობიექტებზე ჯერ კიდევ აქვს ადგილი ქურდობის, ძარცვისა და დარბევის ფაქტებს.

კავშირგაბმულობის თანამშრომლებმა ვერანაირად ვერ მოახერხეს ცხრაწყაროს მთაზე (ბორჯომის რაიონი) დამონტაჟებული საშუალედო ტელეგადამცემი სადგურის დანადგარ-მოწყობილობების დაცვა. საქმე იქამდის მივიდა, რომ ამ ტელეგადამცემებს ადგილმდებარეობა შეუცვალეს.

ანალოგიური საშუალედო ტელეგადამცემის ძარცვის ფაქტი მოხდა მესტიის რაიონში, ლუხის მთაზე, საიდანაც გაიტაცეს მზის ბატარეები, ბატარეები მოიპარეს აგრეთვე, ნუცლის მთაზე.

შექმნილ მდგომარეობასთან დაკავშირებით, 26 იანვარს, საქართველოს კავშირგაბმულობის სამინისტროში ჩატარდა ოპერატიული თათბირი, სადაც მინისტრმა ფრიდონ ინჯიამ მიმართა ყველა რწმუნებულს, რაიონის გამგებელს, ქალაქის მერს, პოლიციის რაიონულ განყოფილებებს, გაატარონ სათანადო ღონისძიებები მათ ტერიტორიაზე არსებული კავშირგაბმულობის ობიექტების დაცვის უზრუნველსაყოფად.

მართვის უფლება — უფასოდ

საქართველოს შეიარაღებული ძალების რიგებში მომავალი საგაზაფხულო გაწვევის დროს არმიას მიეცემა შესაძლებლობა, მთლიანად დააკომპლექტოს ჯარები მძღოლებით. ეს თავდაცვის სამინისტროს, სამხედრო კომისარიატებისა და სპორტულ-ტექნიკური კლუბის (ყოფილი „დოსაფი") ერთობლივი ძალისხმევის შედეგია, რომლებმაც შარშან, ოქტომბერში, გახსნეს გასაწვევებისათვის ავტომობილის მართვის დაჩქარებული შესწავლის კურსები.

კურსებზე მეცადინეობა სულ ორ თვეს გრძელდება, რის შემდეგაც გასაწვევები, სრულიად უფასოდ იღებენ „ბ" და „ც" კლასის მძღოლის მოწმობას, ეს მათ უფლებას აძლევს, მართონ, როგორც მსუბუქი, ისე სატვირთო ავტომანქანები. რაიონულ სამხედრო კომისარიატებში მიმდინარეობს მომზადების გავლის მსურველთა ჩაწერა...

ვახტანგ მგელაძე.

შეიცვალა მრგვალი ბეჭედი


კათარზისი
Catharsis
Катарсис
Humanitarian Association of Georgia
Гуманитарная Ассоциация Грузии

ასოციაცია „კათარზისი" აცნობებს ორგანიზაცია-დაწესებულებებს, საზოგადოებრივ ორგანიზაციებსა და ფართო საზოგადოებრიობას, რომ შეიცვალა მისი მრგვალი ბეჭედი: დღეისათვის ასოციაციის დასახელება მინიშნებულია სამ ენაზე: ქართულად, რუსულად და ინგლისურად.

ზაურ ალადაშვილი,
ასოციაციის პრეზიდენტი.

ყურადღება!
ფირმა — „ეკონომიკა-აუდიტი" გთავაზობთ:

ნებისმიერი სახის აუდიტორულ და იურიდიულ მომსახურებას,
საბუღალტრო-საგადასახადო დოკუმენტაციის მოწესრიგებას,
წლიური და კვარტალური ბალანსების შედგენას,
საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის ანონიმურ რევიზიას,
ქონების შეფასების აქტებისა და საწარმოთა სარეგისტრაციო-სადამფუძნებლო დოკუმენტების უმოკლეს ვადებში მომზადებას,
მომსახურებას გაგიწევენ მაღალი კვალიფიკაციის ლიცენზირებული აუდიტორები.
ჩვენი მისამართია: წინამძღვრიშვილის (ყოფილი კლარა ცეტკინის) ქ. № 128. ტელ.: 94-98-47, 94-86-50.

ქართული მხატვრობა უცხოეთში

ჟოზე ისას კოლექციის ახალი შენაძენი

le musée d'art haïtien
du collège saint pierre
13 artistes georgiens

თანამედროვე ქართველ მხატვართა შემოქმედებას მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში იცნობენ და აფასებენ. მათი ნამუშევრები, დედამიწის რომელ კუთხეში, სად არ გამოუფენიათ და სად არ შეუძენიათ მუზეუმებსა თუ კერძო კოლექციონერებს. სულ ახლახანს კი, ამ ვრცელ გეოგრაფიას კიდევ ერთი ქვეყანა შეემატა ჰაიტის სახით. კარიბის ზღვაში მდებარე სახელმწიფოს დედაქალაქ პორტ-ო-პრენსში ერთ თვეს გრძელდებოდა ქართველ მხატვართა გამოფენა, რომელშიც თავმოყრილ სურათთა უმრავლესობა გაიყიდა.

ბუნებრივია, დაგვაინტერესებთ ამ გამოფენის პრეისტორია, პირველად ჰაიტის ხელოვნების მუზეუმის დირექტორს — ჟერარ ალექსისს და კოლექციონერ ჟოზეფ ისას, ჰაიტში გერმანიის ელჩის გიუნტერ დალჰოფის ოჯახში უნახავთ ქართველ ფერმწერთა (მამუკა მიქელაძის, ლულუ დადიანისა და გია ბუგაძის — უმცროსის) სურათები და საკმაო ინტერესი გამოუხატავთ. მათ უთხოვიათ ელჩისა და მისი მეუღლის — ოლია თოფურიძისათვის ჩამოეტანათ თბილისიდან სხვა ავტორთა სურათებიც, რათა ხელოვნების ჰაიტელ მოყვარულთ შესაძლებლობა მისცემოდათ უშუალოდ გასცნობოდნენ თანამედროვე ქართველ ფერმწერთა ნაწარმოებებს. საგამოფენო ფართის გამოყოფა, კატალოგის დაბეჭდვა და რეკლამა საინფორმაციო საშუალებებით ამ პიროვნებებმა იკისრეს. ოლია თოფურიძე მათგან შეთავაზებულ სრულიად უცხო საქმეს გულმოდგინედ მოეკიდა, შარშან შემოდგომაზე, იგი ეწვია თბილისს და ცამეტი მხატვრის 35 ტილო შეკრიბა ჰაიტის გამოფენისათვის. ოქტომბრის ბოლოს, მან ეს კოლექცია პორტ-ო-პრენსში ჩაიტანა. ჟოზეფ ისა და ჟერარ ალექსისი გატაცებით შეუდგნენ ექსპოზიციის მომზადებას. გამოფენა 13 ნოემბერს გაიხსნა ხელოვნების მუზეუმში და ერთ თვეს გრძელდებოდა.

აღნიშნული გამოფენის შესახებ ინფორმაცია მივიღეთ უშუალოდ ოლია თოფურიძისაგან, რომელიც საახალწლოდ თბილისში იმყოფებოდა. ქ-მა ოლიამ კმაყოფილება გამოთქვა ჩვენი გაზეთის მიმართ, რომელმაც ყურადღება მიაპყრო მის გარჯას ქართული ხელოვნების პროპაგანდის საქმეში. მან გვიჩვენა ჰაიტური გამოფენის კატალოგი, იქაური პრესის გამოხმაურებები, ასევე უამრავი ფოტოსურათი, რომლებიც ასახავენ ვერნისაჟის ატმოსფეროს, მათ შორის გაზეთისათვის შევარჩიეთ ჟოზეფ ისას ფოტო, რომელიც მას მამუკა მიქელაძის „მედეას" გვერდით აქვს გადაღებული. კატალოგის წინასიტყვაობაში, ჟერარ ალექსისს რომ ეკუთვნის, ვკითხულობთ: „გახსნილმა საზღვრებმა და შექმნილმა გარემოებებმა ჰაიტელ ხალხს საშუალება მისცა გასცნობოდა 13 ხელოვანის შემოქმედებას, რომლებიც დაიბადნენ, ცხოვრობენ და მოღვაწეობენ საქართველოში. მხატვრებს, რომელთა ნამუშევრებსაც აქ წარმოგიდგენთ, სურთ გვესაუბრონ თავიანთ გულისტკივილზე, სიხარულზე, გამოცდილებაზე, ოცნებებსა და სიყვარულზე... და ყველაფერი ეს ფერებში. ისინი ხმარობენ ლივლივა ოქროსფერს, მშვიდ იისფერს, მბრწყინავ ყვითელს და ნაზ მწვანეს. ფერი არის მათთვის გამოხატვის ძირითადი საშუალება. ატმოსფეროს ამ ნამუშევრებში ყოველთვის ფერი განსაზღვრავს".

ცამეტი ქართველი მხატვრის: ლევან ლალიძის, მამუკა მიქელაძის, შალვა მატუაშვილის, ყარამან ქუთათელაძის, გია ბუღაძის, ლადო ტატიშვილის, ბადრი გაგნიძის, გია ბუგაძის — უფროსისა და უმცროსის, ირაკლი სუთიძის, ლულუ დადიანის, ანდრო ყიფშიძის, პოლიკო ქლიბაძის სურათებისაგან შემდგარ ექსპოზიციას მთელი თვის განმავლობაში არ მოჰკლებია ჰაიტელი დამთვალიერებელი, განსაკუთრებით ხშირად მოდიოდნენ მხატვრები, მათთვის მიმზიდველი და საინტერესო აღმოჩნდა ასე შორეული საქართველოს მხატვართა ფერწერული აზროვნება, საერთო კულტურა.

ცენტრალური ამერიკის ფრანგულენოვან ქვეყანას — ჰაიტს, სახვითი ხელოვნების უძველესი და უმდიდრესი ტრადიციები, ასევე უძლიერესი თანამედროვე მხატვრობა გააჩნია (რაშიც დამარწმუნა ოლია თოფურიძესთან დათვალიერებულმა ჰაიტურმა ალბომმა) და იქ მოპოვებული გამარჯვება ფრიად სერიოზული და ანგარიშგასაწევია.

გამოფენის დახურვის შემდეგ ქართველ მხატვართა ნამუშევრებმა გადაინაცვლეს ჟოზეფ ისას უმდიდრეს კოლექციაში, რომელიც ათასობით სურათს ითვლის, მათ შორის: სალვადორ დალის, შაგალის, პიკასოს და თანამედროვეობის სხვა უდიდეს მხატვართა ქმნილებებს. ჟოზეფ ისას საქართველოსთან კონტაქტების გაღრმავების სურვილი გაუჩნდა, წლეულს უნდა თავის გალერეაში სამუშაოდ მიიწვიოს ორი ქართველი მხატვარი, რომლებიც გარკვეული დროის განმავლობაში იცხოვრებენ ჰაიტში, იქ შექმნიან სურათებს და მერე იქვე მოაწყობენ გამოფენას.

ბოლოს კი, გვინდა, კიდევ ერთხელ გამოვხატოთ მადლიერება გიუნტერ დალჰოფისა და ოლია თოფურიძის მიმართ, რომლებიც შორეულ ჰაიტში თავიანთი მოღვაწეობით მართლაც რომ ფასდაუდებელ სამსახურს უწევენ ჩვენს კულტურას, დამფასებელთა და მეგობართა რიცხვს უმრავლებენ საქართველოს.

გიორგი ლალიაშვილი.

• • •

სურათზე: გამოფენის კატალოგის გარეკანი; კოლექციონერი ჟოზეფ ისა მამუკა მიქელაძის „მედეას" ფონზე.

ახალი წიგნები

ულექსოდ არ ეცხოვრება

დავით
ტიგინაშვილი
თუშური
ჰანგის
წკრიალი

გამომცემლობა „მერანმა" ახლახანს გამოსცა დავით ტიგინაშვილის პოეტური კრებული, რომელსაც „თუშური ჰანგის წკრიალი" ჰქვია, მისი გადაკითხვისას შეამჩნევთ, რომ თითქმის ყველა ლექსი ბოლო სამ წელიწადში ამოუთქვამს და მართლაც დიდი ნაყოფიერებით უმუშავია, ბევრი გულწრფელი სტრიქონი, ხატი და განწყობილება შეგხვდებათ ამ წიგნში, რომელიც სისადავით და სინედლით უმალ ყურადღებას მიიპყრობს. იგი სიცოცხლეზე, ადამიანებზე, სიმღერაზე უსაზღვროდ შეყვარებული ადამიანია, აკი ამბობს კიდეც ერთ ლექსში:

„მწამსაც თუშების სალოცავს,
ამ ქედებს ფარაჯიანებს,
თუშური ჰანგის წკრიალი,
სიზმრებშიც გამაჟრიალებს!"

წიგნს ერთვის გამოჩენილი პოეტის შოთა ნიშნიანიძის წინასიტყვაობა, სადაც იგი წერს: „გულიდან ბუნებრივად ამომსკდარი ლექსი არ შეიძლება დაწერო არ ჰგავდეს თავისი უშუალობით, გულწრფელობით, აზროვნებით. სწორედ ასეთი თვისებებისაა ჩემი საგარეჯოელი მეგობრის დავით ტიგინაშვილის ლექსი... ტიგინაშვილები თუშეთიდან არიან საგარეჯოში მოსულნი, ალბათ ამიტომაც არის ტიგინაშვილების ოჯახში გამეფებული თუშური სიმღერა, აქ უყვარს და ყველაფერს თუშური ბუნების ბეჭედი აზის; დაკვირვებული მკითხველი უცილოდ შეატყობს, რომ თვითონ დავითის ლექსებსაც თუშური ფარდაგისა თუ ჭეჭიმის თვალმიმტაცი ფერადოვნება დაჰკრავს, დავით ტიგინაშვილს ულექსოდ ნამდვილად არ ეცხოვრება ამ ქვეყანაზე. იგი ხალხის წიაღიდან გამოსული თვითნაბადი ტალანტია".

ბევრი მშვენიერი სტრიქონისა და სტროფის მოხმობა შეიძლება ამ წიგნიდან. ამჯერად საჭაშნიკოდ მხოლოდ სამ სტროფს დავჯერდეთ:

„შემომაფეთე თვალები
და ცეცხლად იმაბრიალე,
თუ არა შენი ღიმილი, —
რა მომიშუშებს იარებს?"
(„თვალები")

„ჩამომიბერდი ლომ-გულო,
გაცვდი ძველ ფალასივითა,
ველარა ჰქუხარ მეხივით
კლდეებში არაგვივითა..." („გული!")

„კახეთის ნათელ-მირონო,
ქათქათებ, როგორც მერდინი,
ამ საქართველოს ედემში
წამოწოლილხარ ღმერთივით"
(„ალაზანი")

უფრო გულდადინჯებით თუ გსურთ დავით ტიგინაშვილის თუშური ფარდაგივით თვალმიმტაცი პოეზიის უფრო კარგად გაცნობა, საკუთრად უნდა გქონდეთ ეს წიგნი, რომლის შეძენაც შეგიძლიათ რუსთაველის პროსპექტზე, მაღაზია „მერანში".

ალეკო მათურელი.

„უპანიშადები" ქართულად



მწერალთა კავშირის თარგმანის საგამომცემლო ცენტრმა „ხომლმა" გამოსცა ძველი ინდური ფილოსოფიურ-რელიგიური თხზულება — „უპანიშადები", საკაცობრიო აზროვნების უნიკალური ძეგლი. მთარგმნელია ივანე მაჩაბლის პრემიის ლაურეატი, მწერალი ლერი ალიმონაკი.

წიგნი იყიდება საფირმო მაღაზია-სალონ „მერანში" (რუსთაველის 42).

პრესა

„სრულიად არასაიდუმლოდ"



ასე ჰქვია ახალ გაზეთს, რომელიც საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტრომ გამოსცა. როგორც გაზეთის სათაურიდანაც ჩანს, ეს უწყება ძველებურად საშიში და ფარული კი არა, ამიერიდან გაცილებით ჰუმანური და გულღია იქნება ჩვენი საზოგადოებისათვის.

პირველი ნომერი მეტად მდიდარი და მრავალფეროვანია ჟანრობრივადაც და ტექნიკურადაც. დაბეჭდილია ვრცელი ნარკვევი საქართველოსა და მის პრეზიდენტზე „სამი წელი ალესილი სამართებლის პირზე". აქვეა ინტერვიუები უშიშროების სამინისტროს ხელმძღვანელებთან ბატონებთან შოთა კვირაიასთან და ავთანდილ იოსელიანთან. ერთობ საინტერესოა გურამ ფანჯიკიძის, თამაზ ნატროშვილის, ჯანო ჯანელიძის, სიმონ კილაძის, გოჩა ჯაფარიძის პუბლიკაციები. დაბეჭდილია მასალები იმ დანაშაულობებზე, რომლებიც უშუალოდ გახსნილი და გამოძიებულია უშიშროების სამინისტროს მუშაკების მიერ.

ისევე, როგორც მთელი სამინისტროსი, ამ გაზეთის დევიზია „სამშობლო, ერთგულება, თავდადება". იგი 32-გვერდიანია. გამოვა თვეში ერთხელ. რედაქტორია ცნობილი მწერალი და პუბლიცისტი გიორგი სანადირაძე. გზას ვულოცავთ ახალ გაზეთს და წარმატებით მუშაობას ვუსურვებთ იმ უწყებაში, რომელიც დღემდე ძირითადად ჭამირი იყო პრესისათვის.

ბადრი იაშვილი.

ასეთი აზრიც არსებობს

ორიოდე სიტყვა მარილის სარეაბილიტაციოდ

დღეს მთელ მსოფლიოში ყველა ხელაღებით ამტკიცებს, რომ მარილი მეტად მავნებელია ადამიანის ორგანიზმისათვის. რამდენად მართებულია ამგვარი უაპელაციო მტკიცებანი? გაზეთ „არგუმენტი ი ფაკტი"-ს ერთ-ერთი ავტორი, ქიმიის მეცნიერებათა კანდიდატი ევგენი ლუნინი სრულიად საწინააღმდეგო აზრისაა, აი, რას წერს იგი:

მარილის მოწინააღმდეგეებს რატომღაც ავიწყდებათ, რომ სწორედ მარილი ამარაგებს ორგანიზმს ქლორისა და ნატრიუმის იონებით. ეს ნივთიერებანი კი აუცილებელია კუჭის წვენის მთავარი კომპონენტების — ტუტისა და მარილმჟავას წარმოსაქმნელად.

ადამიანის ორგანიზმი ისე ჰარმონიულად არის მოწყობილი, რომ მარილის გამოსაყვანად სრულიად იკმარებდა ერთი არხიც, ვთქვათ, შარდსადინარი. უკიდურეს შემთხვევაში — ორი. ხოლო მარილის არსებობა ოფლში, ნერწყვში, განავალში, ცხვირის ლორწოსა და ცრემლში დანამდვილებით მიუთითებს იმაზე, რომ მარილი ძალზე აქტიურად მონაწილეობს ორგანიზმის ცხოველმოქმედებაში.

როცა ადამიანს უეცრად ჰიპერტონია დაემართება ან სიმსუქნე მოერევა, ეს სულაც არ გახლავთ მარილის ბრალი. ეს იმის მანიშნებელია, რომ ორგანიზმში მოიშალა სხვადასხვა ნივთიერების ოფლთან ერთად გამოყოფის პროცესი და ჩვენ ამის გამომწვევ მთავარ მიზეზს — ნივთიერებათა ცვლის მოშლას უნდა ვუმკურნალოთ.

ახლახან მეცნიერებმა ცრემლის შემადგენლობაში აღმოაჩინეს რთული ორგანული შენაერთები, რომელთა დანიშნულება ჯერჯერობით ვერ გაურკვევიათ, ადამიანს ცრემლები განსაკუთრებული ფსიქიკური მდგომარეობისას მოსდის. აქედან გამომდინარე, მარილი უშუალო მონაწილეა ფსიქიკასთან დაკავშირებული პროცესებისა. ჩვენ ჯერ ძალიან ცოტა ვიცით იმის შესახებ, თუ რა როლს ასრულებს მარილი ყველა სასიცოცხლო პროცესში. სხვათა შორის, ურიგო არ იქნებოდა, გამოკვლეულიყო, შეიცავს თუ არა მარილს სპერმა და ყურებიდან გამოყოფილი ნივთიერება.

თუ მოიძებნებიან მოხალისეები, რომლებიც მთლიანად უმარილო დიეტაზე „დაჯდებიან" (მარილი უნდა გამოეცალოს პროდუქტებს და წყალსაც), დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ მათ უეჭველი და მტანჯველი სიკვდილი ელით. ალბათ, ამ ადამიანთა შორის მარილის დაუძინებელი მტრები აღმოჩნდებიან...

ხოლო თუ თქვენ ასე თუ ისე ჯანმრთელი ხართ, იმდენი მარილი მოიხმარეთ, რამდენიც გაგეხარდებათ, არაფერი საშინელი არ მოხდება — ჭარბ მარილს ორგანიზმი თვითონ გამოყოფს, გახსოვდეთ, რომ განსაზღვრულ პერიოდებში, მაგალითად, ზაფხულში, როცა ბოსტნეულს უხვად ვღებულობთ, და ზამთარში, როცა ნაირნაირ მწნილეულს მივირთმევთ, მარილის მოხმარება რამდენჯერმე იზრდება. ჰოდა, ქვეყანა არ იქცევა.

ტელევიზია. ფილმები...

დღეს, 31 იანვარს

„კავკასია"
12.00. — რუსული მხატვრული ფილმი „ადამიანი — ამფიბია";

მეორე არხი
22.20. — ქართული მხატვრული ფილმი „მოკვეთილი";

„ოსტანკინო"
19.20. — „ტროპიკელი ქალის საიდუმლო";
22.45. — მხატვრული ფილმი „ძაღლის წელიწადი";

„რუსეთის" არხი
19.55. — „პეტერბურგის საიდუმლოებანი";
21.55. — „სანტა-ბარბარა".

საქჰიდრომეტცენტრი დაალალატეს

31 იანვრის ამინდის პროგნოზის მისაღებად, საქჰიდრომეტცენტრის მეტეოროლოგიური პროგნოზების განყოფილებაში დავრეკეთ, სადაც განყოფილების გამგემ დოდო გვაზავამ გვაცნობა: 29 იანვრის საღამოს 9 საათიდან ელექტროენერგიის მიუწოდებლობის გამო, მეტეოროლოგიური ინფორმაციის შემცველი რუკები ვერ მივიღეთ და ამის გამო პროგნოზი ვერ შევადგინეთ. სამწუხაროდ, ასეთი მდგომარეობა არაერთხელ მეორდება.

დროა, სათანადო ორგანიზაციებმა ყურადღება მიაქციონ ამ სამსახურს, რადგან მის დროულ ინფორმაციას დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში.

ხსოვნა

ალექსანდრე კალანდაძე

გარდაიცვალა ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ჟურნალისტიკის განყოფილების ხელმძღვანელი, საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის წევრი, მრავალი ცნობილი რომანისა და სამეცნიერო გამოკვლევის ავტორი ალექსანდრე პავლეს ძე კალანდაძე.

იგი დაიბადა 1916 წლის 1 ივნისს ჩოხატაურის რაიონის სოფელ ხიდისთავში. დაამთავრა ადგილობრივი შვიდწლიანი სკოლა, სწავლობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და უცხო ენათა უმაღლეს კურსებზე, მუშაობდა მასწავლებლად, სკოლის დირექტორად. ხოლო 1939 წლიდან მონაწილეობდა მეორე მსოფლიო ომში. იცავდა ბრესტის ციხე-სიმაგრეს, როგორც ასეულის პოლიტხელი, იყო პოლონეთის წინააღმდეგობის ფრონტის მონაწილე, იბრძოდა სამხრეთ საფრანგეთში, როგორც პარტიზანული ნაწილის კომისარი. 50-იან წლებში იყო რეპრესირებული. გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგ დაიწყო ლიტერატურული და სამეცნიერო მოღვაწეობა.

1960 წლიდან ალექსანდრე კალანდაძე მუშაობდა ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში. 1966 წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია, ხოლო 1975 წლიდან ხელმძღვანელობდა თავისივე ინიციატივით ჩამოყალიბებულ ჟურნალისტიკის განყოფილებას.

ალექსანდრე კალანდაძის რომანების ერთი ნაწილი ეძღვნება მეორე მსოფლიო ომის თემატიკას („დღეები ბრესტის სიმაგრეში", „პიასტის ნამუსლარზე", „მაკიზარებთან"), მეორე ნაწილი — ჩვენი ისტორიისა და კულტურის გამოჩენილ მოღვაწეებს („ანტონ დიდი", „მარავანდედი", „გარდმოხსნა", „ცეკვა ხანჯლებით", „ალექსანდრე ბატონიშვილის ცხოვრების რომანი"), მესამე ნაწილი — თანამედროვე რთულ და დრამატულ ცხოვრებას („ბორბალი", „გაყინული მზე", „მწვანე შტო", „არჩევანი").

ალ. კალანდაძის კალამს ეკუთვნის მრავალი სტატია და მონოგრაფია. მათგან ყველაზე მთავარია „ქართული ჟურნალისტიკის ისტორიის" ხუთტომეული, გამოკვლევები ქართულ კლასიციზმსა და სენტიმენტალიზმზე. მათში ნათლად გამოჩნდა ავტორის დიდი ერუდიცია, პრინციპული პოზიცია, გემოვნება და კვლევის ნიჭი.

ალექსანდრე კალანდაძე მარად დარჩება ჩვენი და მომავალი თაობების მეხსიერებაში, როგორც ჩინებული მეცნიერი, მწერალი და საზოგადო მოღვაწე.

რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი; ინსტიტუტის ჟურნალისტიკის განყოფილება.

ნოდარ ჯიქია

გარდაიცვალა ცნობილი იურისტი, ზუგდიდის ადვოკატთა პრეზიდიუმის წევრი ნოდარ თარასხანის ძე ჯიქია.

დაიბადა 1925 წლის 31 მარტს, ქალაქ ზუგდიდში. 1941 წელს დაამთავრა ზუგდიდის მეორე საშუალო სკოლა, ხოლო 1950 წელს წარჩინებით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი.

45 წლის განმავლობაში მუშაობდა ნოდარ ჯიქია სხვადასხვა თანამდებობაზე, სასამართლო, პროკურატურის, იუსტიციის სამინისტროსა და შს სისტემაში. იყო რიგითი გამომძიებელი, საგამოძიებო განყოფილების გამგე, პროკურორის თანაშემწე, პროკურორი, მოსამართლე. სიცოცხლის ბოლო წლებში — ადვოკატი.

ნოდარ ჯიქიას საზოგადოება იცნობდა, როგორც მაღალი კულტურის მქონე ჭეშმარიტ მამულიშვილს.

მისი ნათელი ხსოვნა სამუდამოდ დარჩება მეგობრების, ნათესავებისა და მეზობლების გულში.

მეგობრები, მეზობლები.

მარიკო მახაშვილი

მოულოდნელად გარდაიცვალა ბავშვთა II სტომატოლოგიური პოლიკლინიკის ექიმ-სტომატოლოგი მარიკო რაჟდენის ასული მახაშვილი.

იგი იყო სათნო, ყველასათვის კეთილი, უანგარო, მშრომელი ადამიანი, ბრწყინვალე მეგობარი, უსაყვარლესი მეუღლე და დედა.

მისმა უდროოდ წასვლამ დაგვიტოვა უსაზღვრო სევდა და სიცარიელე. მისი ხსოვნა სამუდამოდ დარჩება ჩვენს გულებში.

ბავშვთა II სტომატოლოგიური პოლიკლინიკის თანამშრომლები.

გამომცემლობა „სამშობლოს" და გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" რედაქციის კოლექტივები თანაუგრძნობენ ზესიკ ბაბაიძეს ძმისწულის

თამთა ბაბაიძის

გარდაცვალების გამო.

მეუღლე ნათელა, შვილი მამუკა, და ჟუჟუნა, რძალი ლაურა, შვილიშვილები თენგიზ, ნინო ომანიძეები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

თენგიზ ნიკოლოზის ძე ომანიძე

პანაშვიდი 1. II, 4 ს., გამოსვენება 2 II, 2 ს., დ. აღმაშენებლის, 195.

საქართველოს ვაჭრობისა და საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობათა სამინისტროს თანამშრომლები იუწყებიან, რომ იოსებ ბაჩიაშვილს გარდაეცვალა მამა

მიხეილ ბაჩიაშვილი

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

თბილისის ბავშვთა V კლინიკური საავადმყოფოსა და სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის საფაკულტეტო პედიატრიის კათედრის თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ დავით კვირკველიას მამის

გიორგი კვირკველიას

გარდაცვალების გამო.

თბილისის სააქციო საზოგადოება „ელვა"

იწვევს დაინტერესებული ორგანიზაციების წარმომადგენლებს და ცალკეულ პირებს ელექტრონული საკონტროლო სალარო აპარატების შესაძენად.
იაპონური და გერმანული ელემენტების ბაზაზე შექმნილი უნივერსალური სალარო აპარატები შეესაბამებიან მსოფლიო სტანდარტებს და დაშვებული არიან ვაჭრობის ნებისმიერ სფეროში გამოსაყენებლად.
მყიდველებს სურვილისამებრ შევასწავლით ელექტრონული საკონტროლო სალარო აპარატების მოხმარებას და ვაძლევთ გარანტიას მათ შემდგომ მომსახურება-შეკეთებაზე.
ჩვენი მისამართია: თბილისი-86, ჯიქიას ქ. № 5, სს „ელვა".
ტელ.: 81-44-89, 81-50-87, 81-40-24, 93-27-78.
სააქციო საზოგადოება „ელვა"-ს დირექცია.

მაღაზია „ლევისი"
გთავაზობთ ახალი სეზონის კოლექციას.
მისამართი: ჭავჭავაძის გამზ. № 19.

მორიგე რედაქტორი სპარტაკ ქობულია.

გამომცემელი — შპს „პრესა"
რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. № 14. ინდექსი 60484. ტელ.: 99-78-24.
მთავარი რედაქტორი გურამ გოგიაშვილი.